



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი  
მაკროეკონომიკის კათედრა

მურად მიქელაძე

სამაგისტრო ნაშრომი

ფისკალური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები საქართველოს  
მაგალითზე

სამაგისტრო პროგრამა-ეკონომიკა

ხელმძღვანელი: ნოდარ ხადური

ეკონომიკის დოქტორი,

პროფესორი

თბილისი

2019

## ანოტაცია

თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში არსებობს უამრავი გამოწვევა, რომელიც აქტიურ განხილვასა და შესწავლას საჭიროებს. მათგან არის ფისკალური პოლიტიკა, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს შეუძლია გავლენის მოხდენა ეკონომიკაზე. მნიშვნელოვანია ფისკალური პოლიტიკის შესწავლა საქართველოში, რადგან ამ მიმართულებით ქვეყანას საკმაოდ მცირე გამოცდილება გააჩნია.

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს რამდენად ეფექტიანადაა შედგენილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და დანახარჯების სტრუქტურა მშპ-ზე ზემოქმედების თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხი ზოგად წარმოდგენას ქმნის იმის შესახებ, თუ რა ამოცანებისა და გამოწვევების წინაშე დგას დღეს საქართველოში არსებული ფისკალური პოლიტიკა და რა უნდა გაკეთდეს ყოველივე ამისათვის.

ნაშრომში შეფასებულია ფისკალური მულტიპლიკატორების მოცულობები. კერძოდ, გაანგარიშებულია თუ რა გავლენას ახდენს საქართველოში საგადასახადო შემოსავლების, არაფინანსური აქტივების შესყიდვის და სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯების ცვლილებები მშპ-ზე.

დასკვნის სახით შეჯამებულია ზემოთ არსებული ყველა ასპექტი და გამოკვეთილია საქართველოში ფისკალური პოლიტიკის შესახებ არსებული თანამედროვე გამოწვევები.

## Annotation

There are many challenges in the modern economic system, which requires active discussion and study. Among the challenges is fiscal policy that is used to impact on the economic circumstance by the government. Because the country has little experience in this field, it's important to study fiscal policy in Georgia.

The purpose of this thesis is to represent how efficiently is made structure of revenues and expenditures of budget for affecting on GDP. Examining of this issue shows us what challenges of fiscal policy exists in Georgia and what should be done for it.

The size of fiscal multipliers is defined in the thesis. Specifically, we have accounted the effects of changes of tax revenues, acquisition of nonfinancial assets and social benefits expenditures on GDP.

In conclusion, we have summarized the main aspects and stressed the modern challenges of fiscal policy in Georgia.

# სარჩევი

შესავალი.....	1
თავი 1. ფისკალური პოლიტიკის შესახებ არსებული თეორიები და თანამედროვე გამოწვევები .....	4
1.1 ფისკალური პოლიტიკის არსი, მისი ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი...	4
1.2 ეკონომიკაში ფისკალური პოლიტიკის როლის შესახებ არსებული თეორიები .....	12
1.3 ფისკალური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები .....	20
თავი 2. ფისკალური მულტიპლიკატორის დათვლის მეთოდოლოგია .....	30
2.1 ფისკალური მულტიპლიკატორის არსი და შეფასების მეთოდები.....	30
2.2 ფისკალური მულტიპლიკატორის დათვლის მარტივი მეთოდი (საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგია) .....	32
2.3 სტრუქტურულ ვექტრული ავტორეგრესიის მოდელი (SVAR) .....	40
თავი 3. ფისკალური მულტიპლიკატორი საქართველოში .....	45
3.1 ფისკალური მულტიპლიკატორის მოცულობა საქართველოში მარტივი მოდელის მიხედვით.....	45
3.2 ფისკალური მულტიპლიკატორის მოცულობა საქართველოში SVAR მოდელის მიხედვით.	51
დასკვნები და რეკომენდაციები.....	66
გამოყენებული ლიტერატურის სია:.....	69
დანართი 1. ....	71

## შესავალი

**თემის აქტუალობა:** მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში არსებული მრავალი გამოწვევა აქტიური შესწავლისა და მსჯელობის საგანია. მათშორის არის ფისკალური პოლიტიკაც, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გადასახადებისა და ხარჯების სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობას. ფისკალურ პოლიტიკის შესახებ მნიშვნელოვანი განხილვები, როგორც სამეცნიერო ისე პოლიტიკურ წრეებში, იწყება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ეს ნიშნავს რომ იგი, როგორც კვლევის საგანი, არცთუ ისე დიდ პერიოდს მოიცავს და აქედან გამომდინარე საინტერესოა მის ირგვლივ არსებული საკითხების შესწავლა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფისკალური პოლიტიკის შესწავლა საქართველოში, სადაც მისი განხორციელება დაიწყო 1990-იან წლების დასაწყისში, მას შემდგომ რაც ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. ანუ საქართველოს საკმაოდ მცირე გამოცდილება გააჩნია ამ მიმართულებით და სწორედ ამიტომ აქტუალურია მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის კვლევა. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ქვეყანა იმყოფება განვითარებად ეკონომიკურ ფაზაში და საჭიროა სწორი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რათა მოხდეს შემდგომი განვითარება.

ფისკალურ პოლიტიკაზე მსჯელობის აქტუალობას ადასტურებს მისი მთავარი როლი, რაც დაკავშირებულია გადასახადებთან და სახელმწიფო დანახარჯებთან. გადასახადები და სახელმწიფო დანახარჯები როგორც ერთობლივი მოთხოვნის, ისე ერთობლივი მიწოდების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ერთობლივი მოთხოვნა, კეინზიანური თეორიის მიხედვით, განსაზღვრავს ერთობლივი წარმოების მოცულობას და შესაბამისად უმუშევრობის დონეს. კლასიკური ეკონომიკური სკოლის მიხედვით კი, ერთობლივი წარმოების მოცულობა, რომელიც თვითონ წარმოქმნის მოთხოვნას, ეკონომიკური განვითარების, ზრდის მთავარი ღერძია. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს რომელი თეორიული კუთხით შევხედავთ ამ ყველაფერს, ვინაიდან ერთობლივი წარმოება და მოთხოვნა წარმოადგენს ურთიერთშემავსებელ ფაქტორებს - ერთის ზრდა იწვევს მეორის ზრდას, ხოლო მეორის ზრდა კი პირველის. ამ შემთხვევაში მთავარი ყურადღება ეთმობა იმას, თუ რა გავლენას აქვს ფისკალურ პოლიტიკას ზოგადად ეკონომიკაზე.

დღეს ვცხოვრობთ მსოფლიოში, სადაც 767 მლნ. ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს (მათი დღიური შემოსავალი ნაკლებია 1.90 აშშ დოლარზე) და მათი წილი მთელი მოსახლეობის 10.7 პროცენტს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ 100-დან 11 ადამიანი ფაქტობრივად მშვიერია (World Bank Group, 2016). ასევე, საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის 2017 წლის მონაცემებით ევროკავშირის წევრ ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა: იტალია, ესპანეთი და საბერძნეთი, საკმაოდ მაღალია უმუშევრობის დონე (საბერძნეთი - 21.4%, იტალია - 11.3% და ესპანეთი - 17.4%). მსოფლიოში არ არსებობს ქვეყნა, რომელსაც მეტნაკლებად არ აწუხებდეს უმუშევრობა, ფასების სტაბილურობა და ბიუჯეტის დისბალანსი - იქნება ეს დეფეციტური თუ პროფიციტული (არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, განსაკუთრებით ნავთობის მომპოვებელ ქვეყნებში, სადაც ბიუჯეტები პროფიციტულია).

ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში უამრავი ქვეყანა შევიდა ღრმა ეკონომიკურ კრიზისში. განსაკუთრებით საყურადღებოა 1929-1933 წლების „დიდი დეპრესია“, 1970-იანი წლების სანავთობო კრიზისი და 2008 წლის მსოფლიო გლობალური ფინანსური კრიზისი. აღნიშნული შემთხვევები დღეს კიდევ წარმოადგენს ეკონომისტებს შორის მთავარი განხილვის საკითხს და არ არსებობს საერთო კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, თუ რამ გამოწვია ეს ყველაფერი და როგორ უნდა შეიცვალოს ეკონომიკური პოლიტიკის მიდგომები. დღეს ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა დგას შემდეგი ფუნდამენტური პოზიციის წინაშე: *როგორი ფისკალური პოლიტიკა უნდა გაატაროს მთავრობამ, რათა ქვეყანაში მოხდეს ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობის შემცირება, ფასების სტაბილურობა, კრიზისების თავიდან აცილება და ა.შ.* ამ პრობლემის გადაჭრის ცალსახა ფორმულა პრაქტიკულად არ არსებობს, რადგან იცვლება დრო და იცვლება სამყარო, მათ შორის ეკონომიკური სტრუქტურაც და მიდგომებიც. ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს მთავრობის მთავარ ბერკეტს ეკონომიკაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რაც იმას ნიშნავს რომ მას (მთავრობას) შეუძლია ზემოთ დასმულ პრობლემებზე გავლენის მოხდენა. პრობლემები გადაჭრილ იქმნება მაშინ, როდესაც ფისკალური პოლიტიკა ადეკვატური იქნება მის წინაშე მდგარი პრობლემების მიმართ.

**წარმოშობის მიზანია** წარმოაჩინოს ფისკალური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები. კერძოდ რამდენად ეფექტიანადაა შედგენილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და

დანახარჯების სტრუქტურა მშპ-ზე ზემოქმედების თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხები წარმოდგენილ იქნება სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებზე, რომელიც ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის იმის შესახებ, თუ რა ამოცანებისა და გამოწვევების წინაშე დგას საქართველოში არსებული ფისკალური პოლიტიკა და რა უნდა გაკეთდეს ყოველივე ამისათვის.

**კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს:** ადგილობრივ და უცხოელ მეცნიერთა, ეკონომისტთა და მკვლევართა თეორიული და გამოყენებითი ხასიათის კვლევები.

## თავი 1. ფისკალური პოლიტიკის შესახებ არსებული თეორიები და თანამედროვე გამოწვევები

### 1.1 ფისკალური პოლიტიკის არსი, მისი ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი

ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულ იქნება მაკროეკონომიკაზე, უფრო კონკრეტულად კი მის მთავარ შემადგენელ ნაწილზე - ფისკალურ პოლიტიკაზე. ჩემი ზარით, ფისკალური პოლიტიკა არის მთავარი ბერკეტი უმუშევრობაზე, ეკონომიკურ ზრდაზე და ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე გავლენის მოსახდენად. თუ ის არ იქნება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებთან ადეკვატურ შესაბამისობაში, მაშინ ნებისმიერი ქვეყანა აღმოჩნდება მწვავე პრობლემების წინაშე.

როგორც უკვე ავლინებთ შესავალში ფისკალური პოლიტიკა ეს არის სახელმწიფოს მიერ გადასახადების და ხარჯების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების ერთობლიობა. ზოგადად გამოყოფენ ფისკალური პოლიტიკის ორ სახეს: დისკრეციულს და არადისკრეციულს (ავტომატურ მასტაბილიზებელს)

**დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა** - წარმოადგენს გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების ცვლილებას იმის მიხედვით, თუ რა ფაზაში იმყოფება ეკონომიკა - ბუმის თუ რეცესიის. ამ გვარი პოლიტიკის განსახორციელებლად გამოიყენება ორი ინსტრუმენტი: (1) საბიუჯეტო პროცესი, რომელიც არის „საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს<sup>1</sup>. სწორედ საბიუჯეტო პროცესის დროს განისაზღვრება სახელმწიფო ხარჯების მოცულობა და მიზნობრივობა, რაშიც თავისთავად აისახება მთავრობის განზრახვა არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენის მოსახდენად. (2) საგადასახადო კოდექსი, რომელსაც იღებს საკანონმდებლო ორგანო (საქართველოში პარლამენტი, აშშ-ში კონგრესი), განსაზღვრავს გადასახადების განაკვეთებს და ფორმებს. როგორც სახელმწიფო დანახარჯები, ისე გადასახადების განაკვეთები ასახავს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს მიმდინარე და მოსალოდნელ სიტუაციებთან

<sup>1</sup> საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006>

მიმართებით. პრაქტიკულად შეუძლებელია მომავლის სრულად განჭვრეტა, განსაკუთრებით კი ეკონომიკურის, ამიტომ მათვარობა თავის მიდგომებს ცვლის მაშინ, როდესაც უკვე სახეზე გვაქვს გადახრები არსებული მდგომარეობიდან ან/და ამისი აშკარა ნიშნები შეიმჩნევა. უნდა აღინიშნოს, რომ დისკრეციული პოლიტიკის ცვლილება საკმაოდ დიდ დროს და ბიუროკრატიულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს. (მაგალითად, საქართველოში ახალი წლის ბიუჯეტის დამტკიცებაზე მუშაობა იწყება 10 თვით ადრე და უამრავ პროცედურას გადის. რაც შეეხება გადასახადების ცვლილებას, ესეც დროშია გაწელილი. კერძოდ, როდესაც ახალი კანონპროექტი შედის პარლამენტში, ის ჯერ განიხილება კომიტეტში, შემდეგ ბიუროზე და შემდეგ მტკიცდება პლენარულ სხდომებზე. უფრო მეტიც, აქციზის გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის ჩატარებით. ეს ყველაფერი უფრო დეტალურად განხილულ იქნება შემდეგ ნაწილში). აქედან გამომდინარე მისი მოქმედების პერიოდი გარკვეული დროითი ლაგით (დაყოვნებებით) ხასიათდება და კითხვითი ნიშნის ქვეშ დგება მისი გამოყენების ეფექტურობა მოკლევადიან პერიოდში სწრაფი ცვლილებების განსახორციელებლად. ამერიკელი ეკონომისტი ფრედერიკ მიშკინი გამოყოფს დაყოვნებების 5 ზოგად ფაქტორს, რომელთაგან მე-3 და მე-4 უშუალოდ დისკრეციულ პოლიტიკას ეხება (Mishkin, 2012). ეს ფაქტორებია:

1. **მონაცემების დაყოვნება** არის ის დრო, რომელიც სჭირდებათ პოლიტიკოსებს მონაცემების მიღებაში, რათა შეაფასონ ეკონომიკაში მომდინარე მოვლენები. მაგალითად მშპ-ს მონაცემები კვარტლური მონაცემის შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში მიუწვდომელია.
2. **შეცნობის დაყოვნება** არის დრო, რომელიც სჭირდებათ პოლიტიკოსებს იმაში დასარწუნებლად თუ რომელი მონაცემი ასახავს ზუსტად ეკონომიკის სამომავლო კურსს. მაგალითად ეკონომიკური კვლევის ნაციონალური ბიურო (კერძო ორგანიზაცია, რომელიც იკვლევს ბიზნეს ციკლებს) ეკონომიკის რეცესიაში შესვლას არ აცხადებს მანამ, სანამ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში რომელიმე ეკონომიკურ ცვლადში არსებული ცვლილება არ მიუთითებს ამაზე.
3. **საკანონმდებლო დაყოვნება** წარმოადგენს დროს, რომელიც საჭიროა კანონის მისაღებად, რათა მოხდეს კონკრეტული პოლიტიკის იმპლემენტაცია.

საკანონმდებლო დაყოვნება არ გვხვდება მონეტარული პოლიტიკის უმრავლეს შემთხვევებში. მაგალითად საპროცენტო განაკვეთების შემცირებაში. თუმცა მოცემული პრობლემა ხშირად გვხვდება ფისკალური პოლიტიკის იმპლემენტაციაში. მაგალითად გადასახადების ან სახელმწიფო შესყიდვების ცვლილებისათვის ხანდახან ექვსი თვეა საჭირო წელიწადში.

**4. იმპლემენტაციის დაყოვნება** - არის დრო, რომელიც სჭირდებათ პოლიტიკოსებს იმისათვის, რომ არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტები ჩაანაცვლონ ახალი ინსტრუმენტებით. ისევ და ისევ მოცემული დაყოვნება უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია მონეტარული პოლიტიკის შემთხვევაში, ვიდრე ფისკალურის, ვინაიდან, მაგალითად ფედერალურ სარეზერვო სისტემას შეუძლია დაუყოვნებლივ შეცვალოს თავისი პოლიტიკის განაკვეთი. ფაქტობრივად იგივე დროს მოითხოვს, მაგალითად სამთავრობო უწყებების დანახარჯების ცვლილება რასაც გადასახადების ცვლილება.

დისკრეციული პოლიტიკის განხორციელების ორი ფორმა არსებობს: ექსპანსიური და შემზღუდავი/მკაცრი (Contractionary).

- **ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა** - გულისხმობს გადასახადების შემცირებას ან/და სახელმწიფო ხარჯების ზრდას ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებისათვის. ამგავრ პოლიტიკას მთავრობები ხშირად იყენებენ, მაშინ, როდესაც ქვეყნა იმყოფება რეცესიაში (ერთობლივი წარმოების მოცულობა ნაკლებია თავის ბუნებრივ დონეზე, რაც ასევე გულისხმობს უმუშევრობის დონის მეტობას თავის ბუნებრივ მოცულობაზე). გადასახადების შემცირებით შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლები იზრდება და შესაბამისად იზრდება სამომხმარებლო დანახარჯები, რაც საბოლოოდ ასახვას ჰპოვებს ერთობლივ მოთხოვნაში. სახელმწიფო დანახარჯების ზრდაც, თავისი მულტიპლიკაციის ეფექტით, ასტიმულირებს ერთობლივ მოთხოვნას. სხვათაშორის პირობებში ეს ყველაფერი ხელს უწყობს ერთობლივი წარმოების ზრდას და შესაბამისად უმუშევრობის შემცირებას.

- **შემზღუდავი/მკაცრი ფისკალური პოლიტიკა** - წარმოადგენს ექსპანსიური პოლიტიკის საპირისპირო მდგომარეობას. კერძოდ, გადასახადების ზრდას ან/და

სახელმწიფო ხარჯების შემცირებას. აღნიშნული პოლიტიკა გამოიყენება ინფლაციური პროცესის შესაჩერებლად. გადასახადების ზრდა ამცირებს შინამეურნეობების განკარგვად შემოსავლებს და შესაბამისად მოხმარებას. ბიზნესის შემთხვევაში კი მცირდება წმინდა მოგება და აქედან გამომდინარე საინვესტიციო დანახარჯები. მოხმარებისა და საინვესტიციო დანახარჯების, რომლებიც მშპ-ს შემადგენელი კომპონენტებია, შემცირება იწვევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას, რაც ამუხრუჭებს ე.წ გადახურებულ მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკის ინფლაციურ პროცესს. რაც შეეხება სახელმწიფო ხარჯებს, იგი არის მშპ-ს უშუალო შემადგენელი ნაწილი ( $GDP=C+I+G+NX$ ) და მისი შემცირება ბუნებრივია გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნისა და წარმოების შემცირებას.

**არადისკრეციული ფისკალური პოლიტიკა** - წარმოადგენს ეკონომიკის მასტაბილუზებელს, რაც გულისხმობს გადასახადებისა და სახელმწიფო შესყიდვების ავტომატურ ცვლილებას უმუშევრობასა და ინფლაციასთან საბრძოლველად. იგი დისკრეციული პოლიტიკისაგან იმითი განსხვავდება, რომ არ საიჭროებს არანაირ დამატებით საკანონმდებლო ცვლილებას გადასახადებისა და სახელმწიფო დანახარჯების შესაცვლელად. ამგვარი პოლიტიკის განსახორციელებლად ძირითადად გამოიყენება ორი ინსტუმენტი: უმუშევრთა სოციალური დახმარება და პროგრესიული საშემოსავლო გადასახადი. იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ როგორ მუშაობს ავტომატური სტაბილიზატორი განვიხილოთ შემდეგი სცენარი: დაუშვათ ეკონომიკა იმყოფება რეცესიაში, რაც ნიშნავს შემოსავლების შემცირებას, სამუშაო ადგილების დაკარგვას და წამოების დაცემას. ამ შემთხვევაში, კეინზიანური თეორიის, მიხედვით საჭიროა ექსპანსიური პოლიტიკის გატარება ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებისათვის, რათა მოხდეს წარმოების ზრდა და უმუშევრობის შემცირება. არადისკრეციული პოლიტიკა რეცესიის დროს ავტომატურად გადაიქცევა ექსპანსიურად, ვინაიდან: პირველი - ადამიანმა, რომელმაც სამუშაო დაკარგა ავტომატურად გაუჩნდება შემოსავალი უმუშევართა სოციალური დახმარების სახით და მეორე - ადამიანს, რომელსაც რეცესიის გამო შემოსავალი შეუმცირდა, შეიძლება განკარგვადი შემოსავალი არათუ შეუმცირდეს, არამედ გაეზარდოს. მაგალითად მუშის თვიური ხელფასი შეადგენს 100 დოლარს, რომელიც პროგრესიული საშემოსავლო გადასახადის მიხედვით

იბეგრება 20%-იანი განაკვეთით. ანუ მისი განკარგვადი შემოსავალი არის 80 დოლარი (100-20%). დაუშვათ 100 დოლარამდე თვიური შემოსავალი ხელფასის სახით იბეგრება 10%-ით. რეცესიის შედეგად ამ მუშის ხელფასი შემცირდა და შეადგენს არა 100 დოლარს არამედ 91 დოლარს. მართალია შემოსავალი შეუმცირდა, მაგრამ განკარგვადი შემოსავალი არათუ შეუმცირდა, არამედ გაეზარდა. კერძოდ, რადგან შემოსავალი 100 დოლარზე ნაკლებია ის უკვე დაიბეგრება 10%-იანი განაკვეთით და მისი განკარგვადი შემოსავალი 80 დოლარის ნაცვლად იქნება 81.9 დოლარი (გაიზარდა 2.4%-ით). საბოლოოდ, მოცემული ინსტრუმენტების მეშვეობით მყისიერად ამოქმედდება ექსპანსიური პოლიტიკა და მოხდება ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირება. რაც შეეხება საპირისპირო სიტუაციას, როდესაც ეკონომიკა იმყოფება ბუმის ფაზაში და ინფლაციური პროცესი იჩენს თავს, მაშინ ავტომატურად ამოქმედდება შემზღუდავი პოლიტიკა. კერძოდ პროგრესიული საშემოსავლო გადასახადის პირობებში შემოსავლების ზრდის კვალდაკვალ შემცირდება განკარგვადი შემოსავლები და სახელმწიფო დანახარჯები (ბუმის პერიოდში მცირდება უმუშევრობა და შესაბამისად უმუშევართა სოციალური დახმარებაც), რაც გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას და ინფლაციური პროცესის განეიტრალებას.

არადისკრეციული ფისკალური პოლიტიკა თეორიულად საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება, თუმცა ასეთმა პოლიტიკამ შეიძლება გარკვეული პრობლემების განვითარებას შეუწყოს ხელი. კერძოდ, პირველი - რეცესიულ პერიოდში შეიძლება გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტის დრამატული ზრდა, რაც შემდეგ ასახვას ჰპოვებს სახელმწიფო ვალის ზრდაში და მეორე - ბუმის პერიოდში შეიძლება საერთოდ არ იყოს ინფლაციის ზრდის საფრთხე და სახელმწიფოს მხრიდან არამიზნობრივად ხდებოდეს განკარგვადი შემოსავლების შემცირება.

ჩემი აზრით, ავტომატური მასტაბილიზებელი ფისკალური პოლიტიკა არამარტო წმინდა ეკონომიკურ ხასიათს ატარებს, არამედ სოციალურსაც. სახელდობრ, პროგრესიულმა სასემოსავლო გადასახადმა და უმუშევართა მაღალმა სოციალურმა დახმარებამ შეიძლება ადამიანებს სტიმული დააკარგვინოს, რათა უფრო მეტი იმუშავონ დამატებითი შემოსავლების მისაღებად და უმუშევრობის შემთხვევაში უფრო აქტიურად ეძებონ სამსახური.

ფისკალური პოლიტიკის განხილვისას აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ბიუჯეტზე<sup>2</sup>. ნებისმიერი ორგანიზაცია, იქნება ეს კერძო თუ საჯარო, ადგენს თავისი რესურსებისა და საქმიანობის ბიუჯეტს, რათა მიაღწიოს დასახულ მიზანს. კერძო სექტორის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოგების მაქსიმიზაცია, ხოლო საჯარო სექტორისას კი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება. სახელმწიფო ბიუჯეტი არის ფისკალური პოლიტიკის ის მთავარი ინსტრუმენტი, რომელსაც მთავრობა იყენებს საჯარო პროდუქტის შესაქმნელად, უარყოფითი გარეგანი ეფექტების აღმოსაფხვრელად, სხვა საბაზრო ჩავარდნების პრევენციისათვის და ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მოსახდენად, იმ მოტივაციით, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება მოხდეს.

მოკლეთ განვიხილოთ ბიუჯეტის არისი და მისი ფორმირების თავისებურებები საქართველოს მაგალითზე. „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონი ბიუჯეტს განმარტავს შემდეგნაირად: „საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ“.<sup>3</sup>

საქართველოს შემთხვევაში ბიუჯეტი არის სხვადასხვა დონის, რომელთა ერთიანობა ქმნის საბიუჯეტო სისტემას. ეს უკანასკნელი მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური ერთეულების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს. ფინანსური პოლიტიკის ფორმირებისთვის გამოიყენება ნაერთი ბიუჯეტი, რომელიც აერთიანებს აღნიშნულ ბიუჯეტებს.

ნებისმიერი ოჯახი, საწარმო თუ ინდივიდი გეგმავს თავის შემოსავლებსა და ხარჯებს. თუ აღმოჩნდა, რომ შემოსავლები ნაკლებია დაგეგმილ დანახარჯებზე, მაშინ

---

<sup>2</sup>სიტყვა ბიუჯეტი მომდინარეობს ინგლისური სიტყვისგან budget, რომელიც ნიშნავს ტომარას. მე-17 საუკუნეში, ინგლისის ლორდთა პალატაში, როდესაც ხაზინის კანცლერი მოხსენებით გამოდიოდა, წინ ფულით გატენილი ტომარა ედო. იგი ტრიბუნის ნაცვლად ამ ტომარას ეყრდნობოდა და ასე წარმოთქვამდა სიტყვას ქვეყანაში ფინანსების მდგომარეობის შესახებ, რომელსაც „ბიუჯეტს“ უწოდებდნენ. სწორედ აქედან გავრცელდა შემდგომ მსოფლიოში ეს ცნება.

<sup>3</sup> კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/14638>

შესაძლებელია სესხის აღება ბანკიდან, ან სხვა სახსრების მოძიება - მაგალითად ადამიანს შეუძლია დროებით მეგობარს გამოართვას ფული, გაყიდოს მიწის ნაკვეთი და ა.შ. ანალოგიურად მუშაობს მთავრობაც, რომელიც გეგმას ბიუჯეტს და განსაზღვრავს რა რაოდენობის ფინანსური სახსრების მიღებაა შესაძლებელი მომავალ წელს, საიდან მოხდება მათი შემოდინება და რაში დაიხარჯება ეს ყველაფერი. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის უნარზე, რამდენად კარგად მოახდენს, ერთის მხრივ აუცილებელი გადასახდელების სწორად განსაზღვრას და, მეორეს მხრივ, რა ფორმით და საიდან მოხდება ამ გადასახდელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მობილიზება. აქედან გამომდინარე, ფისკალური ეფექტის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება, რომელიც საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით არის შემდეგი: „საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა“.<sup>4</sup> სწორედ შემოსულობებს და გადასახდელებში დევს ის მთავარი ბერკეტები, რომელსაც მთავრობა იყენებს ეკონომიკაზე ზემოქმედებისთვის. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

**შემოსულობები** - არის სანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს:

- ❖ შემოსავლებს, მათ შორის: გადასახადებს, გრანტებს და სხვა შემოსავლებს
- ❖ არაფინანსურ აქტივებს (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები)
- ❖ ფინანსურ აქტივებს (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა)
- ❖ ვალდებულებებს (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები)

**გადასახდელები** - არის სანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს:

---

<sup>4</sup> საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006>

- ❖ ხარჯებს, მათ შორის: შრომის ანაზღაურებას, საქონელსა და მომსახურებას, სუბსიდიებს, პროცენტებს, გრანტებს, სოციალურ უზრუნველყოფას და სხვა ხარჯებს
- ❖ არაფინანსურ აქტივებს (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებზე მიმართული სახსრები)
- ❖ ფინანსურ აქტივებს (ფინანსური აქტივებით ოპერაციებზე მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა)
- ❖ ვალდებულებებს (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვაზე მიმართული სახსრები).

ქვეყნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა დღეს, ფისკალური პოლიტიკის თვალსაზრისით, არის უაღრესად მაღალი უთანაბრობა ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობას ეწოდება საოპერაციო სალდო, ხოლო საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობას - მთლიანი სალდო. თუ მთლიანი სალდო უარყოფითია, მაშინ ბიუჯეტი არის *დეფიციტური*, ხოლო პირიქით კი *პროფიციტული*.

## 1.2 ეკონომიკაში ფისკალური პოლიტიკის როლის შესახებ არსებული თეორიები

ეკონომიკის ნორმალური განვითარებისათვის საჭიროა ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს გარკვეული ხარისხით ჩარევას საბაზრო ურთერთობებში იმისათვის, რომ არ მივიღოთ ქაოტური პროცესები ველური კაპიტალიზმის სახით. თუ ეკონომიკური პოლიტიკა მორგებულია ადამიანთა საჭიროებებზე, მაშინ საზოგადოების კეთილდღეობა არათუ იკლებს, არამედ იმატებს. პეგი და რიჩარდ მასგრეივებმა (Musgrave & Musgrave, 1989) საბიუჯეტო პოლიტიკისათვის სამი ძირითადი ფუნქცია გამოყეს:

1. *რესურსების განაწილება* - ეს ფუნქცია მოიცავს ისეთ სახელმწიფო ჩარევას, რომლის მიზანია ზეგავლენის მოხდენა წარმოებისათვის ხელმისაწვდომი ფაქტორების რაოდენობასა ან ხარისხზე (ფაქტორები: კაპიტალი, კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშახელი, ტექნოლოგიები, მიწა და ა.შ.) და მათი სექტორული ან რეგიონული განაწილება. უფრო ზოგადად, ამ კატეგორიაში შედის ისეთი სახის პოლიტიკური კურსი, რომლის მიზანია საჯარო პროდუქციის წარმოება, როგორებიცაა ინფრასტრუქტურული შენობები ან გარემოს დაცვა.
2. *მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია* - მოიცავს იმ ეგზოგენურ შოკებს, რომლებიც იწვევენ ეკონომიკის გადახრას სრული დასაქმებისა და სტაბილური ფასების დონიდან. ეს ფუნქცია მოიცავს ისეთ პოლიტიკურ კურსს, რომელიც ეკონომიკას დააბალანსებს - ეს არის მთავრობის როლი, რომელსაც კეინზი და მისი მიმდევრები საბიუჯეტო და მონეტარულ პოლიტიკას უკავშირებენ ხოლმე.
3. *შემოსავლების გადანაწილება* - მოიცავს ისეთ პოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანია შემოსავლების პირდაპირი გადანაწილების კორექტირება ეკონომიკურ აგენტებს ან რეგიონებს შორის. ამ შეთხვევაში მთავრ ინსტრუმენტს წარმოადგენს პროგრესიული დაბეგვრა და სოციალური ტრანსფერები.

აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია მიზანმიმართული სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ხარჯზე, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის როგორი ფისკალური პოლიტიკა უნდა გატარდეს ამაზე ეკონომისტები და ფილოსოფოსები საუკუნეების განმავლობაში

მსჯელობდნენ, ავითარებდნენ თეორიებს საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე და სთავაზობდნენ მთავრობებს გაეტარებინათ შესაბამის პოლიტიკა იმისათვის, რომ ეკონომიკურ აგენტებს შორის მოწესრიგებულიყო ურთიერთობები, თავი აერიდებინათ კრიზისებისგან და მიეღწიათ ეფექტიანი ეკონომიკური მდგომარეობისთვის.

ფისკალური პოლიტიკაზე საუბრები, ირიბად თუ პირდაპირ, ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს. მაგალითად, ძველი ბერძნული ეკონომიკური აზრის წარმომადგენელი ქსენოფონტე (დაახ. ძვ. წ-ით 431-354) თავის თხზულებებში „ქალაქ ათენის შემოსავალი“ იძლეოდა რჩევას, რომ სახელმწიფოს შეესყიდა 1200 მონა, რომელთა გაქირავბაც 5-6 წელში მოუტანდა 6 ათასამდე მონის შესასყიდ თანხას, ისინი კი წლიურად 60 ტალანტ<sup>5</sup> შემოსავალს მისცემდა, რომლის ხარჯზედაც მოქალაქეები მუქთად ცხოვრებას შეძლებდნენ (სილაგამე, 2010, გვ. 35). ქსენოფონტეს ეს შეხედულება წარმოადგენს სახელმწიფო შემოსავლების, თანამედროვე გაგებით, ბიუჯეტის დაფინანსების წყაროს. ეს იგივეა რაც, მაგალითად, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივების (შენობა-ნაგებობები) გაქირავებიდან მიღებული შემოსავლები.

ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კლასიკურ სისტემას, უილიამ პეტია (1623-1687). იგი პროფესიით ექიმი იყო, თუმცა ეკონომიკური მიმართულებით მან ჩამოაყალიბა საკუთარი თეორიები და ითვლება კლასიკური ეკონომიკური დოქტრინების ფუძემდებლად. ამ შემთხვევაში განხილულ იქნება მისი შეხედულებები ფისკალური პოლიტიკის შესახებ.

პეტია თავის ცნობილ ნაშრომში „ტრაქტატი გადასახადების და მოსაკრებლის შესახებ“ ნათლად არწერს სახელმწიფო ფინანსების ფრომირებას. იგი მიუთითებს ნორმალური საგადასახადო სისტემის აუცილებლობაზე, რომელიც საჭიროა მომავალი განვითარებისათვის, და აღნიშნავს, რომ ხშირად არ უნდა იცვლებოდის მისი ფორმები. მისი აზრით, დასაბეგრი შემოსავლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არის რენტული შემოსავლები. მანამ, სანამ ადამიანები მიწას ფლობენ ასეთი სისტემა ყველაზე უკეთესი იქნება. რაც შეეხება გადასახადის განაკვეთს, ის უნდა იყოს შემოსავლების

---

<sup>5</sup> ძველი საბერძნეთის, ეგვიპტის, მცირე აზიის ყველაზე მსხვილი ანგარიშსწორების ფულადი ერთეული

პროპორციული და უნდა შეეხოს როგორც მიწის მესაკუთრეს, ისე ყველა ადამიანს, ვინც სოფლის მეურნეობის პროდუქტებს მოიხმარს (Petty, 1662).

პეტის მიერ შემოთავაზებულ ამ საგადასახადო სისტემაში იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი. კერძოდ, ის საუბრობს შემოსავლების პროპორციულ დაბეგვრაზე, რაც თანამედროვე გაგებით პროგრესიულ საშემოსავლო გადასახადს ნიშნავს. გარდა ამისა იგი მოითხოვს უმუშევართათვის გარკვეული სახსრების გამოყოფას სახელმწიფოს მხრიდან. ეს ორი ელემენტი ერთად აღებული მთლიანობაში ქმნის არადისკრეციული ფისკალური პოლიტიკის , ანუ ავტომატურ მასტაბილიზების ფორმას.

აგრეთვე საინტერესოა პეტის შეხედულებები ბიუჯეტის მეორე მხარის - სახელმწიფო დანახარჯების შესახებ. ის სახელმწიფო მოხელეებისგან ფულადი სახსრების გონივრულად ხარჯვას მოითხოვდა და კიცხავდა ძვირადღირებულ ომებსა და ჭარბი შტატების არსებობას. მისი აზრით, მთავრობის მიერ **გონივრულად დახარჯული** ფული ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას შეუწყობს ხელს, რაც გაზრდის საზოგადოების შემოსავლებს (სილაგაძე, 2010, გვ. 122). იგი ირიბად საუბრობს მთავრობის ზომიერებაზე, როდესაც აცხადებს, რომ გადასახადები არ უნდა იყოს მაღალი (შემოსავლების პროპორციული უნდა იყოს), რადგან ეს მეფის ზედმეტად ხელგაშლილობაზე მიუთითებს.

პეტის ამგვარი დამოკიდებულება სახელმწიფო დანახარჯების მიმართ ცხადყოფს, რომ, ერთის მხრივ, ბიუჯეტი უნდა იყოს დაბალანსებული და, მეორეს მხრივ, ხარჯები მიმართული უნდა იყოს კაპიტალურ პროექტებში. ანუ გონივრულ ხარჯვაში იგულისხმება არა გაზრდილი სოციალური ტრანსფერტები, არამედ ისეთი მიმართულებების დაფინანსება, რაც მომავალში შემოსავლების მომტანი იქნება. და ბოლოს, ის პირდაპირ მიუთითებს, რომ გადასახადების მაღალი განაკვეთები ნიშნავს მთავრობის დიდი ზომას, რომელიც მიუღებელია.

ჟან-ბაპტისტ კოლბერი (1619-1983) მერკანტილისტური ეკონომიკური დოქტრინის წამომადგენელი იყო არამხოლოდ თეორეტიკოსი, არამედ სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკული გამტარებელი. იგი ლუდოვიკო XIV -ის მეფობის დროს იყოს

საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი. იგი სახელმწიფო შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვან წყაროდ ძლიერ საგადასახადო პოლიტიკას მიჩნევდა და მომხრე იყო დაბალანსებული ბიუჯეტის. ის „ფინანსურ მემორანდუმში“ აღნიშნავდა, რომ საფრანგეთის სახელმწიფო ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატებოდა შემოსავლებს, ანუ ბიუჯეტი იყო დეფიციტური და მოითხოვდა მის დაბალანსებას. ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის წყაროდ მხოლოდ გადასახადებს არ ასახელებდა, ვინაიდან საგადასახადო სახსრები დამოკიდებულიაო გადამხდელთა შემოსავლებზე და როდესაც გადამხდელთა შემოსავლები მცირდება, მაშინ სახელმწიფომ საგადასახადო განაკვეთი უნდა შემაციროს, რადგან ეს მოსახლეობას გააღატაკებს. ამ შემთხვევაში ის გამოსავალს ხედავდა სახელმწიფო ხარჯების შემცირებაში (იქვე, გვ.96). ასევე ის წინააღმდეგი იყო სახელმწიფო ვალით ბიუჯეტის დაფინანსების.

კოლბერი მომხრე იყო სახელმწიფო ხარჯების ისეთ პროექტებში დაბანდების, რომელიც ქვეყნის განვითარებას შეუწყობდა ხელს. მაგლითად სამრეწველო საწარმოების წასახალისებლად იგი გამოყოფდა ფულად სახსრებს და იმ დარგში დასაქმებულ მუშებს ათავისუფლებდა გადასახადებისგან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კოლბერის ხედვებში, ერთის მხრივ, იკვეთება დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის ელემენტები, როდესაც ის საუბრობს ეკონომიკური დაღმავლობის ფონზე გადასახადების მოცულობის შემცირებაზე და, მეორეს მხრივ, თანხვედრაში მოდის კალისკოსების შეხედულებებთან იმ კუთხით, რომ ბიუჯეტი უნდა იყოს დაბალანსებული.

ინგლისელი ეკონომისტი დევიდ რიკარდო ((1772-1823) კლასიკური ეკონომიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი) თავის ცნობილ ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლებში“ საუბრობს სახელმწიფო საგადასახადო სისტემის პრობლემატიკაზე. მისი აზრით, გადასახადი შეადგენს ქვეყნის მიწისა და შრომის პროდუქტის ნაწილს, რომელიც გადადის მთავრობის განკარგულებაში და გადაიხდება ქვეყნის კაპიტალიდან ან შემოსავლებიდან (რიკარდო, 1937). ამას შემდეგნაირად განმარტავს: თუ მთავრობის ხარჯები იზრდება გადასახადების ზრდის საფუძველზე და ის იფარება წარმოების გადიდებით ან მოხმარების შემცირებით, მაშინ

გადასახადების ტვირთი გადავა შემოსავლებზე. ხოლო თუ წარმოება არ გაიზრდება ან მოხმარება არ შემცირდა, მაშინ გადასახადები დააწვება კაპიტალს.

ჩემი აზრით, რიკარდოს ამგვარ ფორმულირებაში ჩანს შემდეგი რამ: თუ გადასახადების გაზრდით მომხმარება მცირდება (დაუშვათ იგივე მოცულობით), მაშინ დანაზოგების ნორმა და შესაბამისად ინვესტიციები არ შემცირდება, რაც საბოლოოდ ერთობლივ მიწოდებაზე დიდი გავლენას ვერ მოახდენს (შემცირების კუთხით). ხოლო თუ შემოსავლები არ შემცირდება და არც წარმოება გაიზრდება, მაშინ ეს იმას ნიშნავს რომ დანაზოგები და შესაბამისად ინვესტიციები მცირდება. ინვესტიციების შემცირება კი ნიშნავს კაპიტალდაბანდებების კლებას და აქედან გამომდინარე მიწოდების შემცირებას. ამიტომ ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს რა ეფექტი ექნება ამა თუ იმ ფისკალურ პოლიტიკას მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების სტრუქტურაზე.

აგრეთვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიკარდო ზოგადად არ ემხრობა ექსპანსიურ ფისკალურ პოლიტიკას, რადგან, მისი აზრით, რაციონალური შინამეურნეობები სახელმწიფო დანახარჯების ზრდას ან გადასახადების შემცირებას უპასუხებენ მოხმარების შემცირებით, ვინაიდან ისინი მოელიან, რომ დღევანდელი დეფიციტი ნიშნავს სამომავლოდ გაზრდილ გადასახადებს და ისინი ემზადებიან ამისათვის საკუთარი დანაზოგების გაზრდით (Benassy-Quere, Coeure, Jacquet, & Pisani-Ferry, 2012, p. 248). მოცემულ პირობას უწოდებენ *რიკარდოს ტოლობას*, მეორენაირად კი *რიკარდოს ექვივალენტობის პრინციპს*.

აუცილებლად უნდა შევეხოთ XX საუკუნის ცნობილ მეცნიერს ჯონ მეინარდ კეინზს (1883-1946), რომელიც არის **მაკროეკონომიკური რეგულირების დოქტრინების ფუძემდებელი** და სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ფისკალური პოლიტიკის შესახებ არსებული დისკუსიებისა და აქტიური განხილვების ათვლის წერტილი. მან თავის ნაშრომში - „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, დაასაბუთა იმ კრიზისიდან გამოსვლის გზები, რომელშიაც იმყოფებოდა აშშ „დიდი დეპრესიის“ დროს, 1929-1933 წლებში. კრიზისმა ეჭვის ქვეშ დააყენა საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმები და საჭირო გახდა ახალი ალტერნატივების ძიება. კეინზმა დაასაბუთა კრიზისიდან გამოსვლის გზა ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს აქტიური

ჩარევით (მექვაბიშვილი, 2012, გვ. 31). აშშ-ს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, რუზველტმა კეინზის თეორიაზე დაყრდნობით განახორციელა „ახალი კურსის“ ეკონომიკური პოლიტიკა და შეძლო კრიზისიდან თავის დაღწევა.

კეინზი ეწინააღმდეგება კლასიკოსების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, მხოლოდ საბაზრო თვითრეგულირებით ქვეყანას შეუძლია მოკლევადიან პერიოდში კრიზისიდან გამოსვლა. ამისათვის მას მიაჩნია, რომ საჭიროა ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის გატარება, რათა მოხდეს „ეფექტიანი (ერთობლივი) მოთხოვნის“ სტიმულირება. მისი აზრით (და ზოგადად კეინზიანელების აზრით), მთავარია ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, რომელიც გაზრდის ერთობლივ წარმოებას და შეამცირებს უმუშევრობას.

კეინზს შემოაქვს ე.წ. „მულტიპლიკატორის ეფექტის პრინციპი“ ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედებისთვის. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის ორი ინსტრუმენტი არსებობს - სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ან/და გადასახადების შემცირება. მისი აზრით, თუ სახელმწიფო დანახარჯები გაიზრდება  $\Delta G$  სიდიდით, მაშინ შემოსავლები გაიზრდება უფრო მეტად  $\Delta Y$  სიდიდით ( $\Delta Y > \Delta G$ ). ე.ი  $\Delta Y / \Delta G > 1$  და ამ თანაფარდობას ეწოდება სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი. ამ იდეის უკან დგას შემდეგი ლოგიკა: სახელმწიფო დანახარჯების ზრდა იწვევს შემოსავლების ზრდას, ის აგრეთვე ამაღლებს მოხმარების დონეს, რომელიც, თავის მხრივ, ზრდის შემოსავალს, რომელიც განაპირობებს შემდეგ ზრდას და ა.შ (ხადური, კაკულია, & ჩიქობავა, 2011, გვ. 147).

რაც შეეხება ფისკალური პოლიტიკის მეორე ინსტრუმენტს - გადასახადების შემცირებას, ამ შემთხვევაში იზრდება განკარგვადი შემოსავლები, რომელიც აისახება შემდგომ მოხმარების ზრდაში. როგორც სახელმწიფო დანახარჯების ზრდა ახდენს შემოსავლებზე მულტიპლიკატორის ეფექტს, ისე გადასახადების შემცირებასაც იგივე შედეგებამდე მივყავართ.

კეინზის ერთ-ერთი აღომჩენაა გადასახადების „ფსიქოლოგიური კანონი“, რომლის თანახმადაც, შინამეურნეობებს მიდრიკილება აქვთ შემოსავლების გაზრდის პარალელურად გაზარდონ მოხმარება, მაგრამ შედარებით ნაკლები მოცულობით, ვიდრე

შემოსავლები იზრდება. ეს იწვევს დანაზოგების გადიდებას და მოხმარების შემცირებას. დანაზოგების შესამცირებლად საჭიროა პროგრესიული საშემოსავლო გადასახადის შემოღება, რომლის შედეგადაც გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, შესაბამისად მეტი თანხა წარიმართება ინვესტიციებში და სტიმული მიეცემა ეკონომიკის აღორძინებას (მესხია & ნიკოლეიშვილი, 2002).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კენიზი მომხრეა ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის გატარების. ის არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ბიუჯეტი უნდა იყოს დაბალანსებული და არა დეფიციტური. იგი ემხრობა სახელმწიფოს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში და ემიჯნება მოკლევადიან პერიოდში ბაზრის თვითრეგულირების მექანიზმს ფასებისა ხელფასების სიხისტის გამო.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კლასიკოსებიც აღიარებენ ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის შედეგად ერთობლივი წარმოების მოცულობის ზრდას. თუმცა კენიზიანელებისგან განსხვავებით მათ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო დანახარჯების ზრდა დღეს თუ არა ხვალ გამოიწვევს გადასახადების ზრდას ან დღევანდელი გადასახების შემცირება მომავალში განაპირობებს მის ზრდას (ამ შემთხვევაში ისინი იზიარებენ,, რიკარდოს ექვივალენტობის პრინციპს“). ყოველივე ეს დღეს თუ არა ხვალ გამოიწვევს განკარგვადი შემოსავლების შემცირებას და მუშების გადატაკებას, რაც განაპირობებს სამუშაო ძალის მიწოდების ზრდას დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით (ხადური, კაკულია, & ჩიქობავა, 2011). კლასიკოსების აზრით, სამუშაო ძალის მიწოდება კი, თავის მხრივ, ერთობლივი წარმოების ზრდას უწყობს ხელს.

სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ საინტერესოა ნეოკლასიკური სინთეზის წარმომადგენლის, პოლ სამუელსონის მოსაზრება, რომელიც მონეტარული პოლიტიკისა და ფისკალური პოლიტიკის ინტეგრირებული განხორციელების აუცილებლობაზე მიუთითებს. მისი აზრით, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო საგადასახო პოლიტიკის ოპტიმალურ ურთიერთშეხამებას შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკის არა მხოლოდ აღმავლობით ან დაცემით გამოწვეული ნეგატიური მოვლენების

შერბილება, არამედ შექმნას გარემო სტაბილური განვითარებისათვის (მესხია & ნიკოლეიშვილი, 2002, გვ. 22).

აღნიშნული იდეა კიდევ უფრო განავითარა და მას ახალი შინაარსი შესძინა მონეტარული დოქტრინის ფუძემდებელმა მილტონ ფრიდმანმა. მან კეინზის „ეფექტიანი მოთხოვნის“ თეორიას დაუპირისპირა „მიწოდების თეორია“ და აღნიშნა, რომ სახელმწიფო მინიმალურ დონეზე უნდა ჩაერიოს ეკონომიკის რეგულირებაში. მისი აზრით, მთავრობის ზედმეტად დიდი დანახარჯები, რომელიც ფულის ემისიის ხარჯზე ხდება, იწვევს ინფლაციას. ინფლაციასთან ბრძოლის წესი მან შემდეგნაირად წარმოადგინა: „მთავრობამ ნაკლები უნდა ხარჯოს და ნაკლები ფული გამოუშვას“ (მექვაბიშვილი, 2012, გვ. 86).

ფრიდმანის ხედვებიდან იკვეთება ის, რომ თუ სახელმწიფო დანახარჯების დაფინანსება ხდება ვალის აღებით ან კიდევ ე.წ ვალზე მონეტიზაციით, მაშინ ეს გამოიწვევს ფულის მასის ზრდას და შესაბამისად ინფლაციას.

### 1.3 ფისკალური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები

დღეს მსოფლიოში არსებობს უამრავი გამოწვევა, რაც დაკავშირებულია მასობრივ სიღარიბესთან, უმუშევრობის პრობლემებთან, მაღალ ფასების დონესთან, შემოსავლების არათანაბარ გადანაწილებასთან (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის) და ა.შ. ფისკალური პოლიტიკა ის ქვაკუთხეა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ამ პრობლემებთან ბრძოლა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აღნიშნულ პრობლემებთან ბრძოლის შედეგად მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას დღეს იგი.


ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა არის ბიუჯეტის დეფიციტი, მისი დაფინანსების ფორმები და დანახარჯების სტრუქტურა. მოცემული პრობლემების აქტიური განხილვა დაიწყო გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან და აქედან გამომდინარე, საინტერესოა გარკვეული ისტორიული ექსკურსის გაკეთება იმასთან დაკავშირებით თუ რა იდგა ამ ყველაფრის უკან.

მე-20 საუკუნემდე ქვეყნების ბიუჯეტები იშვიათად იყო დეფიციტური, გარდა ისეთი გამონაკლისი შემთხვევებისა, როგორებიცაა ომები და ეკონომიკური დაცემები. ასეთ შემთხვევებში დაგროვებული სახელმწიფო ვალები დაუყოვნებლივ იფარებოდა აღმავლობის პერიოდში და საერთო ჯამში მიიღწეოდა ფისკალური ბალანსი<sup>6</sup>. გრაფიკ 1-ზე ნათლად ჩანს, რომ G7-ის ქვეყნებში (გერმანიის გამოკლებით) ბიუჯეტი უმეტეს შემთხვევაში დაბალანსებულია. არსებობს გარკვეული პერიოდები, როცა შეინიშნება სერიოზული გადახრები (დეფიციტის მხრივ). მაგალითად, 1860-იან წლებში აშშ-ს აქვს მნიშვნელოვანი დეფიციტი, რაც განპირობებულია სამოქალაქო ომით. საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად მსგავსი მდგომარეობა აქვს საფრანგეთსაც 1870-იან წლებში.

---

<sup>6</sup> P. Masson & M. Mussa - *Long-Term Tendencies in Budget Deficits and Debt*, Symposium Proceedings, 1995, p.5  
<https://www.kansascityfed.org/LPMPe/XkcOO/PefZX/publicat/sympos/1995/pdf/s95mussa.pdf>

აღსანიშნავია პირველი და მეორე მსოფლიო ომის პერიოდებიც, როცა მნიშვნელოვნად



იზრდება მოცემული ქვეყნების დეფიციტები, მაგრამ ომების დასრულების შემდეგ ხდება მათი გადაფარვა.

ბიუჯეტის დეფიციტის პრაქტიკა იწყება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით ის სისტემურ ხასიათს იღებს

1960-იანი წლებიდან. ეს გამოიწვეული იყო სახელმწიფო შემოსავლების ჩამორჩენით დანახარჯებთან. დანახარჯების ზრდას ჰქონდა შემდეგი მიზეზები: ერთის მხრივ, კეინზიანური მიდგომა ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ, რაც გულისხმობს ექსპანსიური პოლიტიკის მეშვეობით ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას და მეორეს მხრივ, სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯების ზრდა. როულის აზრით (Rowley, 1987), მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფო დანახარჯების ზრდა განაპირობა სოციალურმა დანახარჯებმა. „დიდი დეპრესიის“ პერიოდში ფართომასშტაბიანი უმუშევრობით გამოწვეულმა სოციალურმა დანახარჯების გამოცდილებამ მთავრობას უბიძგა გაეტარებინა მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა, რათა შენარჩუნებინა დასაქმების მაღალი დონე. აგრეთვე გაიზარდა სოციალური ტრანსფერები უმუშევართათვის და ომის შედეგად დაზარალებული მილიონობით ადამიანისათვის.

სოციალური დანახარჯები განსაკუთრებით აქტუალური ხდება 1970- იანი წლებიდან. ცხრილ 1-ში წარმოდგენილია მთავარი ინდუსტრიული ქვეყნების სახელმწიფო დანახარჯების პროცენტული წილი მშპ-ში კატეგორიების მიხედვით (მოცემულია დასავლეთ გერმანია). 1975-93 წლებში თითქმის ყველა ქვეყანაში იზრდება სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯების თანაფარდობა მშპ-ს მიმართ. სხვა

დანახარჯების კატეგორიებში დიდი ცვლილებები არ შეიმჩნევა. თავდაცვისა და სახელმწიფო ინვესტიციების თანაფარდობა მშპ-თან მცირდება ხოლო ვალის მომსახურების საპროცენტო ხარჯები კი იზრდება.

ცხრილი 1. ბიუჯეტის დანახარჯების თანაფარდობა მშპ-თან კატეგორიების მიხედვით (%)


Country	Year	Expenditures				
		Total	Social Security	Unemployment Benefits	Defense	Interest
United States	1975	33.5	8.4	1.1	5.7	2.4
	1985	33.2	8.9	0.4	6.4	4.9
	1993	34.5	10.1	0.5	4.8	4.4
Japan	1975	26.8	5.9	0.1	...	1.2
	1985	31.6	9.5	0.4	0.9	4.4
	1993	34.3	11.1	0.3	0.9	3.8
Germany	1976	48.8	18.9	1.2	...	1.6
	1985	48.1	18.8	1.3	...	3.0
	1993	50.4	21.3	2.0	1.7	3.3
France	1975	44.2	17.4	0.4	3.3	1.2
	1985	52.5	22.1	1.0	3.1	2.9
	1993	55.0	23.6	1.6	2.7	3.7
Italy	1977	38.6	...	...	...	...
	1985	51.4	...	0.7	2.1	8.0
	1993	57.2	...	0.5	1.5	12.0
United Kingdom	1975	45.2	8.8	0.4	4.8	3.9
	1985	44.6	11.6	1.9	5.0	4.9
	1993	44.1	12.2	2.0	3.8	2.9
Canada	1975	39.9	3.1	1.8	1.6	3.8
	1985	46.8	4.2	2.1	2.0	8.4
	1993	50.8	4.8	2.5	1.7	9.2

1970-იანი წლებიდან ინდუსტრიული ქვეყნების ფისკალური პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ევროკავშირისგან განსხვავებით იგი უფრო აქტიურად გამოიყენებოდა აშშ-ში და იაპონიაში. 1970-იანი წლების სანავთობო კრიზისის აშშ-მ ფისკალური ექსპანსიით უპასუხა, თუმცა მოცემული პერიოდის ბოლოს დეფიციტი თითქმის აღმოიფხვრა. ვითარება იცვლება 1980-იანი წლების დასაწყისში, როდესაც რეიგანის

ადმინისტრაციამ დაიწყო გადასახადების ტვირთის მნიშვნელოვანი შემცრება და სამხედრო დანახარჯების ზრდა, რომლის შედეგადაც ბიუჯეტი კვლავ დეფიციტური გახდა.

ერთობ მნიშვნელოვანია 1990-იანი წლებიდან დღემდე არსებული ვითარება ბიუჯეტის დეფიციტან დაკავშირებით. გრაფიკ 2-ზე წარმოდგენილია ძირითადი ინდუსტრიული ქვეყნების და ევროზონის (გამოყენებულია წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი) ნაერთი ბიუჯეტების დეფიციტის თანაფარდობა მშპ-თან. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი ცალ-ცალკე.

**გრაფიკი 2. ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობა მშპ-თან (%)**



ამერიკის შეერთებული შტატები - როგორც უკვე ავლინებთ რეიგანის ადმინისტრაციის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად აშშ-ს ბიუჯეტი 1980-იან წლებში იყო დეფიციტური. 1993 წლიდან კლინტონის ადმინისტრაციამ დანახარჯების მკაცრი კონტროლი დაიწყო და 1994 წლიდან 2000 წლამდე ბიუჯეტი გახდა დეფიციტური. ასევე ამ პერიოდში დაიწყო სახელმწიფო ვალის შემცირებაც. 2000-იან წლებში დაწყებული ეკონომიკური ციკლის (შემცირების მიმართულებით) შედეგად და ბუმის ადმინისტრაციის პოლიტიკის შედეგად შეიცვალა ფისკალური მდგომარეობა და მანამდე არსებული პროფიციტი გადავიდა დეფიციტში (2000 წელს ნაერთი ბიუჯეტის პროფიციტი შეადგენდა მშპ-ს 4%-ს, ხოლო 2001 წელს კი -1,4%-ს). 2005 წლამდე გრძელდება ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა და ამის შემდეგ ხდება მისი შემცირება 2008 წლის გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე. აღნიშნული კრიზისის შედეგად, რომელიც ხასიათდება ყველაზე დიდი ეკონომიკური ვარდნით დიდი დეპრესიის შემდეგ, დაიწყო აქტიური ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის გატარება და 2009 წელს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის თანაფარდობამ მშპ-თან მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს - 12.8%-ს. შემდეგ დაიწყო შემცირება და 2016 წლიდან კვლავ დაიწყო ზრდა.

იაპონია - 1990-იან წლებში იაპონია აქტიურად იყენებდა ფისკალურ ექსპანსიას, რათა აღედგინა ეკონომიკური ვარდნა. აღნიშნული პოლიტიკა ძირითადად მოიცავდა საჯარო ინვესტირებას, რომელიც 1992 წლიდან 2003 წლამდე გაგრძელდა. არსებობდა საჯარო

ინვესტირების ისეთი პროგრამები, რომელთა მოცულობა აღემატებოდა მშპ-ს 2%-ს. 1992 წელს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა მიაღწია რეკორდულ მაჩვენებლს და მისმა თანაფადობამ მშპ-თან შეადგინა 7.5%. პრაქტიკულად ეს იყო ექსპანსიური პოლიტიკის უპრეცედენტო მასტაბები, რის გამოც სახელმწიფო ვალმა 2003 წლის მდგომარეობით შეადგინა მშპ-ს 160%. 2008 წლამდე თანდთან დაიწყო დეფიციტის შემცირება, თუმცა გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად გამოწვეული დრამატული ეკონომიკური ვარდნის გამო მთავრობამ ისევ დაიწყო ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც 2012 წლამდე გაგრძელდა. აღნიშნული ექსპანსიური პოლიტიკების შედეგად იაპონიის სახელმწიფო ვალი მშპ-ს 200%-ს მიუახლოვდა.

*ევროზონა* - ევროპის ქვეყნებში ფისკალური პოლიტიკის გაუარესება შეიმჩნეოდა 1980-იან წლებში, თუმცა აღნიშნული ვითარება შეიცვალა 1990-იანი წლების მეორე ნახევარში მონეტარული კავშირის ჩამოყალიბების შედეგად. ევროზონაში გასაწევრიანებლად ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს მასტრიხტის კრიტერიუმებს, მათ შორის ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისად მშპ-ს 3%-ს და 60%-ს<sup>7</sup>. 2000-იან წლების დასაწყისში არსებული ეკონომიკური ვარდნის შედეგად წევრმა ქვეყნებმა ერთმანეთისგან განსხვავებული ფისკალური პოლიტიკის გატარება დაიწყეს. ფინეთმა და ირლანდიამ გამოიყენეს თავიანთი მანევრირების ზღვრები ანტიციკლური პოლიტიკის გასატარებლად; ბელგიამ, ავსტრიამ და ესპანეთმა პრიორიტეტი რეგულირებას მიანიჭეს; სხვა ქვეყნებმა, საფრანგეთისა და გერმანიის მსგავსად, უარი თქვეს შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკის გატარებაზე კლების პერიოდში, მათ არ ჰქონდათ ფორმალური საზღვარი ფართომასშტაბიანი სტიმულირებისათვის (Benassy-Quere, Coeure, Jacquet, & Pisani-Ferry, 2012). 2008 წლის კრიზისთან საბრძოლველად ევროზონის წევრმა ქვეყნებმა შეჩერეს ფისკალური რეგულირების პოლიტიკა და დაიწყეს ექსპანსიური პოლიტიკის გატარება. პრაქტიკულად ყველა ქვეყნის, გარდა ფინეთისა და ლუქსემბურგისა, ნაერთი ბიუჯეტების დეფიციტი აღემატებოდა მშპ-ს 3%-ს.

---

<sup>7</sup> Maastricht Treaty – *PROTOCOL ON THE EXCESSIVE DEFICIT PROCEDURE*, p.183, Article 104c. [www.europa.eu](http://www.europa.eu)


1990-იან და 2000-იან წლებში არსებულმა გამოწვევებმა, ბიუჯეტის დეფიციტთან და სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით, ბევრი მთავრობა მიიყვანა გარკვეული საბიუჯეტო წესების შემოღებამდე. ყველაზე გავრცელებულია ე.წ. „სახელმწიფო ფინანსების ოქროს წესი“, რომელიც გულისხმობს მიმდინარე დანახარჯების დაფინანსებას მიმდინარე შემოსავლებით. აღნიშნული კანონი ჯერ კიდევ 1960-იან წლებში იქნა მიღებული გერმანიის კონსტიტუციაში (2009 წელში მოხდა მისი შესწორება), რომლის თანახმადაც აღებული სახელმწიფო ხარჯით უნდა დაფინანსდეს მხოლოდ კაპიტალური დანახარჯები. ასევე, ცნობილია 1998 წელს ბრიტანეთის მიერ შემოღებული „ოქროს წესი“, რომელიც გულისხმობს შემდეგს: სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 40%-ს და სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ისეთი ტიპის ინვესტირება, რომლის მოსალოდნელი მოგება უნდა აღემატებოდეს ხარჯებს (Emmerson, Frayne, & Love, 2001). მიუხედავად ამ ყველაფრისა თითქმის ყველა საბიუჯეტო შეზღუდვა მთავრობას უფლებას აძლევს გავიდეს დადგენილი ზღვრებიდან არასტაბილური ეკონომიკური სიტუაციების შემთხვევაში და ამის ნათელი მაგალითია 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი.

ჩემი აზრით, ბიუჯეტის დეფიციტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა არის მისი ხარჯების სტრუქტურა. კერძოდ, სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯების მაღალი დონე. გრაფიკ 3-ზე წარმოდგენილია წამყვანი განვითარებული ქვეყნების დანახარჯები სოციალურ უზრუნველყოფაში. 2001-2016 წლებში მოცემული დანახარჯების თანაფარდობა მშპ-თან, კანადის გარდა, აღემატება 10%-ს. განსაკუთრებით მაღალია ის იაპონიაში და ევროზონის ქვეყნებში, სადაც 20%-ზე მეტია.

ევროზონის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი და იტალია იგი

უახლოვდება 25%-ს.

**გრაფიკი 3. სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯების თანაფარდობა მშპ-თან (%)**




არსებობს მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ ზომიერი დეფიციტი და შესაბამისად მისი დაფინანსება ვალის აღების ხარჯზე არ წარმოადგენს პრობლემას იმ შემთხვევაში, როცა მთავრობა ნასესხებ სახსრებს მიმართავს

კაპიტალურ დანახარჯებში და არა სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯებში. ჩემი აზრით, თუ სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯები მაღალია, მაშინ დეფიციტი და აქედან გამომდინარე სახელმწიფო ვალის ზრდა არის პრობლემა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისთვის და არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ამ შემთხვევაში, რა მიმართულებით დახარჯავს მთავრობა ნასესხებ სახსრებს. ერთგვარი პარადოქსია, როცა მაღალგანვითარებული ქვეყნების შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება სოციალური დაცვებიც. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება.

მოცემულ თემაში დასმული პრობლემების კონტექსტში მნიშვნელოვანია საქართველოს განხილვა. საქართველოს, როგორც განვითარებად, დაბალ შემოსავლების მქონე ქვეყანას, მნიშვნელოვანი გამოწვევები აქვს ფისკალური პოლიტიკის თვალსაზრისით. მიმაჩნია, რომ ამ საკითხის განხილვის ათვისების წერტილად უნდა ავიღოთ 2004 წელი, რადგან მანამდე ფაქტობრივად არ არსებობდა არანაირი ფისკალური დისციპლინა. 1991 წლამდე ის იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და ფისკალური პოლიტიკის გადაწყვეტილებები მიიღებოდა მოსკოვში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რაც საკმაოდ მძიმე ეკონომიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა. პრაქტიკულად არ არსებობდა ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობით მოხდებოდა ფისკალური დისციპლინის ჩამოყალიბება.

გაუმართავი საგადასახადო სისტემისა და მაღალი კორუფციის შედეგად არ ხდებოდა საგადასახადო შემოსავლების აკუმულირება ბიუჯეტში. ვარდების რევოლუციის შემდეგ გატარებული რეფორმების შედეგად ჩამოყალიბდა ინსტიტუტები, რამაც უზრუნველყო გამართული საგადასახადო სისტემის შექმნა და ფისკალური დისციპლინის ჩამოყალიბება.

გრაფიკ 4-ზე წამოდგენილი მონაცემებით ჩანს, რომ 2004-2007 წლებში ბიუჯეტი პროფიციტულია, ხოლო 2008 წლიდან კი დეფიციტური. ყველაზე მაღალი დეფიციტი ფიქსირდება 2009 წელს, რომლის თანაფარდობა მშპ-თან მიმართებით შეადგენს 6.5%-ს, რაც გამოწვეულია 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომით. რაც შეეხება სახელმწიფო ვალს, 2002 წლიდან 2007 წლამდე მისი თანაფარდობა მშპ-თან მიმართებით მნიშვნელოვნად მცირდება, თუმცა ეს შემცირება გამოწვეულია არა ვალის მოცულობის შემცირებით (საშინაო ვალის მოცულობა დიდად არ იცვლება, საგარეო კი მცირე ტემპით მცირდება), არამედ მშპ-ს ზრდით.



2008 წლიდან სახელმწიფო ვალის საერთო მოცულობა ხასიათდება მზარდი ტემპით. მნიშვნელოვანია საგარეო და საშინაო ვალის დინამიკის ერთმანეთისგან გამიჯვნა. საერთო სურათს თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ 2008 წლიდან დღემდე საშინაო

ვალის ზრდის საშუაო ტემპი შეადგენს 11%-ს, ხოლო საგარეო ვალის კი 16%-ს<sup>8</sup>. განსაკუთრებით საყურადღებოა 2014 წელი, როდესაც საშინაო ვალის ნაშთი წინა წელთან შედარებით 27%-ით გაიზარდა. ეს განპირობებული იყო ფინანსთა სამინისტორს მიერ 2 და 5 წლის ვადის მქონე ობლიგაციების ემისიის ზრდით, რომელიც ემსახურებოდა საბანკო სექტორის გრძელვადიანი რესურსებით უზრუნველყოფას. ასევე საყურადღებოა 2015 წელი, როცა საგარეო ვალის ნაშთი წინა წელთან შედარებით 33%-ით გაიზარდა. ეს გამოიწვია ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ დოლართან მიმართებით, რამაც ლარში გამოხატული საგარეო ვალის ნაშთი გაზარდა.

საქართველოსთვის ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბიუჯეტის დაფინანსების წყაროები. საშინაო ვალის აღება ხდება კომერციული ბანკებიდან პირდაპირი წესით სესხის აღებით და ფასიანი ქაღალდების ემისიით, რომელიც დაიწყო 2009 წლიდან. ორივე შენთხვევაში ფინანსური სახსრების მომწოდებლად გვევლინებიან კომერციული ბანკები. მთავრობის მხრიდან ფასიანი ქაღალდების ემისია, ერთის მხრივ, გარკვეული სტიმულია შესაბამისი ბაზრის განვითარებისთვის, თუმცა, მეორეს მხრივ, დივერსიფიკაცია არ ხდება და მათი 90% კომერციული ბანკების ხელშია. რაც შეეხება საგარეო ვალს, ამ მხრივ შემდეგი გამოწვევის წინაშე ვდგავართ: ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო ვალის პორტფელში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ კრედიტებს, ამიტომ ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გაცვლითი კურსი. გარდა იმისა, რომ გაცვლითი კურსი მოქმედებს ვალის ნაშთზე, ის ასევე გავლენას ახდენს საბიუჯეტო წლის განმავლობაში საგარეო ვალის მოსახურების სიდიდეზე.

ბოლოს, აუცილებლათ უნდა გამახვილდეს ყურადღება ხარჯების სტრუქტურაზე. ისევე როგორც ზემოთ განხილულ ქვეყნებში, საქართველოც დგას იმ გამოწვევის წინაშე, რაც დაკავშირებულია მაღალი სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯებთან. მართალია, მისი თანაფარდობა მშპ-თან მიმართებით არ არის ისეთი მაღალი, როგორც ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში, მაგრამ მიამაჩნია, რომ საქართველოს მსგავსი დაბალშემოსავლიანი და ინდუსტრიის არმქონე ქვეყნისთვის ეს ნიშნავს გრძელვადიანი

---

<sup>8</sup>ზრდის ტემპი დათვლილია საანგარიშო პერიოდის ბოლოს საგარეო და საშინაო ვალის ნაშთის შედარება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან

ეკონომიკური განვითარების შეფერხებას. მისი თნაფარდობა მთლიან დანახარჯებთან მიმართებით ბოლო წლებში შეადგენს დაახლოებით 37%-ს.

## თავი 2. ფისკალური მულტიპლიკატორის დათვლის მეთოდოლოგია

### 2.1 ფისკალური მულტიპლიკატორის არსი და შეფასების მეთოდები

ფისკალური პოლიტიკის ცვლილებას, რომელიც მოიცავს გადასახადების ან სახელმწიფო დანახარჯების ცვლილებას, ძირითადად მოკლევადიანი გავლენა აქვს ეკონომიკურ აქტივობაზე. გამოშვების გადახრა მისი პოტენციური დონიდან ხასიათდება მოკლევადიანი პერიოდით, რომელიც განპირობებულია ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებით. ფისკალური პოლიტიკის ცვლილება სწორედ ერთობლივი მოთხოვნაზე ახდენს გავლენას და აქედან გამომდინარე მას აქვს მოკლევადიანი გავლენა მშპ-ზე. მაგალითად გადასახადების შემცირება, რომელიც ზრდის განკარგვად შემოსავლებს, იწვევს შინამეურნეობების მოხმარების ზრდას და შესაბამისად ერთობლივი მოთხოვნის ზრდას. გაზრდილი მოთხოვნის საპასუხოდ იზრდება გამოშვებაც და საბოლოოდ ვიღებთ ერთობლივი გამოშვების დადებით გადახრას მისი პოტენციური დონიდან. აღნიშნული შედეგი არის პოზიტიური ეფექტის მატარებელი ქვეყნისთვის, ვინაიდან იზრდება დასაქმების დონეც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეფექტი არის დროებითი, რადგან არ ხდება გამოშვების პოტენციური დონის ზრდა, რომელიც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორების ზრდასა და ეფექტიან გამოყენებაზე.

ფისკალური პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი გავლენა გამოიხატება ეკონომიკური აგენტების მიერ გადასახადების შემცირებით ან/და სახელმწიფო დანახარჯების ზრდის შედეგად გაზრდილი შემოსავლებით შესყიდული დამატებითი საქონლითა და მომსახურებით. მაგალითად შემცირებული საშემოსავლო გადასახადის შედეგად გაზრდილი დამატებითი განკარგვადი შემოსავლის  $x$  ნაწილს თუ დახარჯავენ შინამეურნეობები, მაშინ ამ ფისკალური პოლიტიკის ცვლილების პირდაპირი გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე იქნება  $x$ -ის ტოლი. რაც შეეხება არაპირდაპირ გავლენას, მას შეუძლია პირდაპირი გავლენის განეიტრალება ან გაზრდა. მაგალითად, სახელმწიფო დანახარჯების ზრდა იწვევს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას, ხოლო ჭარბი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კი იზრდება წარმოება და შესაბამისად დასაქმების დონეც. დასაქმების დონის ზრდა დამატებით შემოსავლებს უჩენს შინამეურნეობებს და კვლავ დამატებით იზრდება ერთობლივი მოთხოვნა. ფისკალური პოლიტიკის ცვლილების

ამგვარი არდაპირდაპირი ეფექტი, დასაქმების დონის ზრდის თვალსაზრისით, ზრდის მის პირდაპირ გავლენას ერთობლივ მოთხოვნაზე. იგივე სახელმწიფო დანახარჯების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთის ზრდა და შენამეურნეობები წახალისოს მოხმარების ნაცვლად დაზოგვისკენ და ამ შემთხვევა მოხდება არაპირდაპირი გავლენის მიერ პირდაპირი გავლენის განეიტრალება.

იმისათვის, რომ მოხდეს ფისკალური პოლიტიკის ჯამური ეფექტის (პირდაპირი და არაპირდაპირი) შეფასება, ამისათვის გამოიყენება ფისკალური მულტიპლიკატორი. ფისკალური მულტიპლიკატორი არის საზომი, რომელიც უშუალოდ გვიჩვენებს თუ რა ეფექტი აქვს გადასახადების ან დანახარჯების ცვლილებას მშპ-ზე. თუ მულტიპლიკატორი 1-ზე მეტია ეს იმას ნიშნავს, რომ არაპირდაპირი ეფექტი ზრდის პირდაპირ ეფექტს. თუ 1-ზე ნაკლებია, მაშინ არაპირდაპირი ეფექტი გარკვეულწილად ანეიტრალებს პირდაპირ გავლენას. ხოლო თუ 0-ის ტოლია მაშინ ეფექტები სრულად ანეიტრალებენ ერთმანეთს და ფისკალური პოლიტიკის ამგვარ ცვლილებას არანაირი გავლენა არ აქვს მშპ-ზე. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფისკალური მულტიპლიკატორის გაანგარიშებას იმდენად, რამდენადაც მისი მშვევობით ხდება სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის და ზოგადად მასში არსებული გამოწვევების შეფასება. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია ფისკალური მულტიპლიკატორის გაანგარიშების ორი მეთოდი საქართველოში: ფისკალური მულტიპლიკატორის დათვლის მარტივი მეთოდი, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიას და სტრუქტურულ ვექტორული ავტორეგრესია, რომელიც ეფუძვნება ბლანშარდ-პეროტის მეთოდოლოგიას.

## 2.2 ფისკალური მულტიპლიკატორის დათვლის მარტივი მეთოდი (საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგია)

ქვეყნებისთვის, სადაც ფისკალური მულტიპლიკატორების შესახებ ზუსტი მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, ზოგადი დასკვნების გამოსატანად შესაძლებელია სხვა ქვეყნების შედეგების გამოყენება. ამისათვის ხდება ერთნაირი სტრუქტურული მახასიათებლების მქონე ქვეყნების დაყოფა სამ ჯგუფად და გაიანგარიშება თითოეული ჯგუფის ფისკალური მულტიპლიკატორის დაახლოებითი დიაპაზონები. ეს მეთოდი შემუშავებულია მსოფლიო სავალუტო ფონდს მიერ და ცნობილია *ფისკალური პოლიტიკის დათვლის მარტივი მეთოდის* სახელით (Batini, Eyraud, & Weber, 2014).

სტრუქტურული მახასიათებლების შერჩევა და მათი ზღვრული ეფექტის განსაზღვრა მულტიპლიკატორებზე, ძირითადად, ეფუძნება გავითარებული გქვეყნების წარსულ გამოცდილებას. ეს მოდელი ასევე უშვებს, რომ განვითარებად და დაბალი შემოსავლის ქვეყნებში, სადაც ემპირიული და სპეციალურ მოდელებზე დაფუძნებული გამოთვლები ნაკლები ხელმისაწვდომობით ან ნაკლები სანდოობით გამოირჩევიან, ერთნაირი ფაქტორები მოქმედებენ მულტიპლიკატორებზე.

ერთწლიანი<sup>9</sup> ფისკალური მულტიპლიკატორის გაანგარიშება შეიძლება განხორციელდეს სამ ეტაპად:

**პირველი - ქვეყანაზე ქულების მინიჭება იმის მიხედვით თუ რამდენად დიდია ამ ქვეყანაში კონკრეტული სტრუქტურული მახასიათებლის გავლენა მულტიპლიკატორის ზომაზე.** თითოეული მახასიათებლის დეფინიცია იდენტურია ქვეყნების მიხედვით, გარდა სახელმწიფო ვალის „უსაფრთხო“ დონისა. ემპირიულად დადასტურებულია, რომ სახელმწიფო ვალის უსაფრთხოების (იგულისხმება ვალის მომსახურების შესაძლებლობა) დონე უფრო დაბალია განვითარებად და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, ვიდრე გავითარებულ ქვეყნებში, რომლებსაც შეუძლიათ მძალი ვალის დონის შენარჩუნება ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე სასესხო ბაზრებიდან სახსრების

---

<sup>9</sup> ერთწლიანიში იგულისხმება ფისკალური პოლიტიკის ცვლილების პირველი ერთი წლის გავლენა გამოშვებაზე (first-year overall multiplier)

მისაღებად. ქვემოთ წარმოდგენილ თითოეულ სტრუქტურულ მახასიათებელს მინიჭებული აქვს 1 ან 0 ქულა:

- *სავაჭრო ღიაობა* - თუ ქვეყანაში იმპორტის თანაფარდობა საერთო მოხმარებასთან მიმართებით არ აღემატება 30%-ს ბოლო 5 წლის განმავლობაში, მაშინ ამ ქვეყანას მიენიჭება 1 ქულა. ზოგადად აღიარებულია, რომ რაც უფრო ჩაკეტილია ქვეყანა მით უფრო ძლიერია ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკაციის ეფექტი ერთობლივ მოთხოვნაზე და შესაბამისად გამოშვებაზე.
- *შრომის ბაზრის სიხისტე* - ქვეყანას, სადაც ძლიერი პროფკავშირები არიან წარმოდგენილნი ან შრომის ბაზარი მკაცრად რეგულირდება, მაშინ ამ ქვეყანას მიენიჭება 1 ქულა. შრომის ბაზრის სიხისტე მერყეობს 0-დან 1-მდე, 0-ნიშნავს მოქნილს, ხოლო 1 ხისტს. აღნიშნული კოეფიციენტი გამოყვანილია ბოუტეროს და სხვების მიერ, რომელთა მიხედვით ზოგადად 0.8-დან 1-მდე ფარგლებში სამუშაო ბაზარი ითვლება ხისტად (Botero, Djankov, Porta, Lopez-de-Silanes, & Shleifer, 2004). რაც უფრო ხისტია შრომის ბაზარი, განსაკუთრებით სახელფასო პოლიტიკის მხრივ, მით უფრო მაღალია მულტიპლიკატორი.
- *ავტომატური სტაბილიზატორის ზომა* - ავტომატური სტაბილიზატორი იზომება მთავრობის დანახარჯების მოცულობის თანაფარდობით ნომინალურ მშპ-თან (Cottarelli & Fedelino, 2010). თუ ეს მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია, მაშინ ქვეყანას ეწერება 1 ქულა. ავტომატური სტაბილიზატორის მოცულობა თუ მაღალია, მაშინ ფისკალური პოლიტიკის თავდაპირველ ცვლილებას აბათილებს სტაბილიზატორი და ფისკალური მულტიპლიკატორის ზომა მცირდება.
- *გაცვლითი კურსის რეჟიმი* - ქვეყანას, რომელსაც ფიქსირებული ან კვაზი-ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი აქვს, მიენიჭება 1 ქულა. ასევე 1 ქულა მიენიჭება იმ ქვეყანას, რომელიც საერთო სავალუტო ზონაშია გაწევრიანებული. მოქნილი გაცვლითი კურსი ამცირებს ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკაციურ ეფექტს. მაგალითად, დავუშვათ, რომ ერთობლივი გამოშვების გასაზრდელად სახელმწიფო ატარებს ექსპანსიური პოლიტიკას (ან გადასახადებს ამცირებს ან შეყიდვებს ზრდის) და ამავდროულად, რაღაც საგარეო ფაქტორების გამო, მყარდება ეროვნული ვალუტა. ექსპანსიური პოლიტიკის გამო გაიზრდება

ერთობლივი მოთხოვნა. მოთხოვნის ზრდა ეროვნული ვალუტის გამყარების კვალდაკვალ უფრო მეტად აისახება იმპორტის ზრდაზე და შედეგად აღნიშნულ პოლიტიკას ნაკლები მულტიპლიკატორული გავლენა ექნება გამოშვებაზე, ანუ ნაკლებად გაიზრდება წარმოება. თუმცა, თუ ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი იარსებებს, მაშინ ცენტრალური ბანკი არ დაუშვებს აღნიშნულ გამყარებას და შესაბამისად ზემოთ აღნიშნულ ექსპანსიურ პოლიტიკას უფრო მეტი გავლენა ექნება ერთობლივი გამოშვებაზე.

- *სახელმწიფო ვალის უსაფრთხოების დონე* - 1 ქულა მიენიჭებათ იმ ქვეყნებს, რომელთა სახელმწიფო ვალის დონე ნაკლებია ფინანსური ბაზრების მიერ შეფასებულ უსაფრთხო დონეზე. განვითარებული ქვეყნებისათვის სახელმწიფო ვალი ითვლება უსაფრთხოდ თუ მისი თანაფარდობა არ აღემატება მშპ-ს 100%-ს, ხოლო განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში კი 40%-ს. თუ ქვეყანას გააჩნია მაღალი სახელმწიფო ვალი და იგი ფინანსური ბაზრების მიერ შეფასდა მაღალი საკრედიტო რისკის მქონე ქვეყნად, მაშინ ახალი ვალის მომსახურების საფასური გაიზრდება და საბოლოოდ ეს უარყოფითად აისახება ფისკალურ მულტიპლიკატორზე.
- *მთავრობის დანახარჯების მართვისა და შემოსავლების ადმინისტრირების ეფექტიანობა* - დანახარჯების შეფასება ეფუძვნება სახელმწიფო დანახარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულებების შესრულების სისტემას (PEFA), ხოლო შემოსავლების კი დაგეგმილსა და ფაქტობრივ დონეს შორის არსებულ სხვაობას. ერთი სიტყვით, 1 ქულა ენიჭება იმ ქვეყანას, სადაც დაგეგმილი დანახარჯებისათვის გამოყოფილი თანხების ათვისება ხდება დაგეგმილ ვადებში და დაგეგმილი შემოსავლებსა და ფაქტობრივ შემოსავლებს შორის სხვაობა მინიმალურია.

მეორე - ქულების შეჯამება იმისათვის, რათა განისაზღვროს ერთწლიანი მულტიპლიკატორის სავარაუდო დიაპაზონი (დაბალი, საშუალო და მაღალი) „ნორმალურ“ შემთხვევებში (სხვა თანაბარ პირობებში).

იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც შედარებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მულტიპლიკატორის დონის გაანგარიშებაში, არსებული მწირი ემპირიული

მტკიცებულებების გამო, ყველა სტრუქტურული მახასიათებელი მიიღება თანაბარი წონით. ანუ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრუქტურულ მახასიათებლებზე ხდება 0 ან 1 ქულის მინიჭება და არა 0-დან 1-მდე. ქვეყნები, რომელთა ჯამური ქულა მოთავსებულია [0-3] შორის, ხასითდებიან დაბალი ფისკალური მულტიპლიკაციის ეფექტით. (3-4] შორის - საშუალო და (4-6] შორის კი მაღალი.

ცხრილ 2.-ში წარმოდგენილია ერთწლიანი მულტიპლიკატორის დაახლოებითი სიდიდის ინტერვალი თითოეული ჯგუფისთვის. ყველა ქვეყნის ჯგუფს მინიჭებული აქვს მულტიპლიკატორის დიაპაზონი და არა კონკრეტული მოცულობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოდელი ახდენს შემდეგ დაშვებას: ფისკალური შოკები (დადებითი ან უარყოფითი) თანაბრად არიან განაწილებული დანახარჯებსა და შემოსავლებზე (ანუ გადასახადების ცვლილებას და დანახარჯების ცვლილებას ერთნაირი მულტიპლიკაციური ეფექტი გააჩნიათ მშპ-ზე) და ეკონომიკა იმყოფება თავის პოტენციურ დონეზე (გამოშვების გეპი ნულთანა ახლოს არის და მონეტარული პოლიტიკა სტაბილურია).

<b>ცხრილი 2. ერთწლიანი მულტიპლიკატორები (ნორმალურ შემთხვევებში)</b>	
<b>ქვეყნების კატეგორიები</b>	<b>მულტიპლიკატორის დიაპაზონი</b>
დაბალი მულტიპლიკატორი [0-3]	0.1-0.3
საშუალო მულტიპლიკატორი [3-4]	0.4-0.6
მაღალი მულტიპლიკატორი [4-6]	0.7-1

მოცემული ცხრილის მიხედვით ირკვევა, რომ მაგალითად, დაბალი მულტიპლიკატორის ჯგუფში მყოფ ქვეყნებში გადასახადების ან სახელმწიფო დანახარჯების 1 ლარით ცვლიება იწვევს გამოშვების ცვლილებას 0.1-ლარიდან 0.3 ლარამდე. მაღალი ჯგუფის შემთხვევაში კი 0.7-დან 1-მდე.

მესამე - გარკვეული „კონიუნქტურული“ (დროებითი) მახასიათებლებიდან გამომდინარე არის შემთხვევები, როდესაც ხდება ეკონომიკის გადახრა წონასწორული მდგომარეობიდან. აღნიშნული გადახრები კი იწვევს ზემოთ მინიჭებული ქულების მეშვეობით განსაზღვრული მულტიპლიკატორის დიაპაზონის მასშტაბების კორექტირებას. კერძოდ:

- დიაპაზონის კორექტირება საქმიანი ციკლის მდგომარეობის მიხედვით - თუ ეკონომიკა იმყოფება საქმიანი ციკლის ყველაზე დაბალ წერტილში (მაქსიმალურად ნეგატიური გამოშვების გეპი), მაშინ მულტიპლიკატორის დიაპაზონის როგორც ქვედა, ისე ზედა ზღვარი იზრდება 60%-ით. ხოლო თუ ეკონომიკა იმყოფება საქმიანი ციკლის პიკში (მაქსიმალურად პოზიტიური გამოშვების გეპი), მაშინ დიაპაზონის ზღვრები მცირდება 40%-ით. ზოგადად ითვლება, რომ ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა უფრო დიდ გავლენას ახდენს ერთობლივ გამოშვებაზე, როცა ეკონომიკა იმყოფება რეცესიაში და პირიქით ნაკლებად ძლიერია ეკონომიკურ აქტივობაზე გავლენის მოსახდენად ბუმის პერიოდში. როდესაც გამოშვების გეპი ნულთან ახლოსაა, მაშინ არანაირი დიაპაზონების კორექტირება არ ხდება
- დიაპაზონის კორექტირება მონეტარული პოლიტიკის პოზიციის მიხედვით - თუ მონეტარული პოლიტიკა იმყოფება ეფექტიან ქვედა ზღვარზე და მთლიანად შეზღუდულია, მაშინ მულტიპლიკატორის დიაპაზონის ზღვრები უნდა გაიზარდოს 30%-ით. ამ შემთხვევაში ეფექტიანი ქვედა ზღვარში ითვლება შემთხვევა, როდესაც ეკონომიკაში არის დადმასვლა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი იქამდეა შემცირებული, რომ იმის ქვემოთ შემცირება შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, როდესაც განაკვეთი ბოლომდე არ არის შეზღუდული, მაშინ დიაპაზონის საზღვრები უნდა გაიზარდოს 0-დან 30%-მდე ფარგლებში. ზოგადად მნიშვნელოვანია მონეტარული პოლიტიკის პოზიციის გათვალისწინება, ვინაიდან მას შეუძლია ფისკალური პოლიტიკის გავლენის გაბათილება.

მოცემული მარტივი მოდელის მიერ შემოთავაზებულია მულტიპლიკატორის ფორმულა, რომელიც ასახავს კონიუნქტურული მახასიათებლების კომბინირებულ გავლენას.

$$M = M_{NT} * (1 + Cycle) * (1 + Mon)$$

სადაც: M არის საბოლოო მულტიპლიკატორის ზომა,  $M_{NT}$  - სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით მიღებული მულტიპლიკატორი (მულტიპლიკატორის განსაზღვრის მეორე ეტაპი), Cycle - ციკლური ფაქტორი, რომელიც მერყეობს -0.4-დან

+0.6-მდე და Mon - მონეტარული პოლიტიკის ფაქტორი, რომელიც მოთვსებულია 0-სა და 0.3-ს შორის. მაგალითად, როდესაც გამოშვების ფაქტორები დონე მცირედით ნაკლებია თავის პოტენციურ დონეზე, მაშინ ციკლური კომპონენტი (Cycle) იქნება პოზიტიური, მაგრამ მცირე. 0.6 იმ შემთხვევაში იქნება, როცა გამოშვების დონის გადახრა პოტენციური დონიდან დიდია. ანუ ეკონომიკა იმყოფება ძლიერ რეცესიაში.

ფორმულაში არსებულ ფაქტორებზე, სვდასხვა სცენარების გაერთიანებით, შესაბამისი რაოდენობრივი მოცულობების მინიჭების შემდეგ მიიღება საბოლოო მულტიპლიკატორის ზომა, რომელიც მოთავსებულია 0-სა და 2-ს შორის. ერთი შეხედვით 2-თან ახლოს მყოფი მულტიპლიკატორის ზომა ძალიან მაღალი ჩანს, თუმცა ცალსახად არც იმის უარყოფა შეგვიძლია, რომ ის ასეთი მაღალი ვერ/არ იქნება. საბოლოოდ ყველაფერი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ ნეგატიური გამოშვების გეპი ძალიან მაღალია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ე.წ ნულოვანი ზღვარის დონეზეა (zero lower bound), მაშინ მოსალოდნელია, რომ ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორი ძალიან მაღალი იყოს.

მულტიპლიკატორის გამოთვლის ამ მარტივი მეთოდოლოგიის საილუსტრაციოდ განვიხილოთ აშშ-ს მაგალითი. დავუშვათ აშშ-ს გამოშვების გეპი არის უარყოფითი. სახელმწიფო ვალი კლასიფიცირდება როგორც „უსაფრთხო“ (მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-თან 100%-ზე მაღალია, იგი მაინც უსაფრთხოდ ითვლება, რადგან საერთაშორისო ინვესტორების მიერ აშშ-ს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები აღიქმება უსაფრთხო აქტივებად). მე-3 და მე-4 ცხრილებში აღწერილია როგორ მიიღება ერთწლიანი მთლიანი მულტიპლიკატორი.

<b>ცხრილი 3.</b>	
სტრუქტურული მხასიათებლები	ქულა
სავაჭრო ღიაობა	1
შრომის ბაზრის სიხისტე	0
ავტომატური სტაბილიზატორის ზომა	1

გაცვლითი კურსის რეჟიმი	0
სახელმწიფო ვალის უსაფრთხოების დონე	1
დანახარჯების/შემოსავლების ეფექტიანი მენეჯმენტი	1
ჯამი	4

ცხრილი 4.			
	ქულა	მულტიპლიკატორის დიაპაზონი	კორექტირების შემდეგ დიაპაზონი
აშშ	4	საუბალი (0.4-0.6)	0.6-0.9
აშშ	4	მაღალი (0.7-1)	1.0-1.4

სტრუქტურული ფაქტორების შესაბამისი ქულები ჯამში არის 4 ქულა, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ-ს ფისკალური პოლიტიკა ექცევა მაღალი მულტიპლიკაციის მქონე ქვეყანათა ჯგუფში. რაც შეეხება კონიუნქტურული ფაქტორების მიხედვით მულტიპლიკატორის დიაპაზონის ზედა და ქვედა ზღვრების კორექტირებას, იგი წარმოდგენილია შემდეგნაირად: +30% (ნეგატიური გეპის გათვალისწინებით) და +10% (შეზღუდული მონეტარული პოლიტიკის დონის მიხედვით). კორექტირებების შემდეგ მიღებული შედეგი, რომელიც მე-3 ცხრილშია, საკმაოდ გონივრულია, განსაკუთრებით იმ ფონზე თუ შევადარებთ სხვების მიერ სხვადასხვა მეთოდებით გამოთვლილ მულტიპლიკატორის ზომებს. კერძოდ, აუერბაქის და გოროდნიჩენკოს თანახმად, ზოგადად, რეცესიის პერიოდში ერთწლიანი მულტიპლიკატორი აშშ-ში არის 1.4 (Auerbach & Gorodnichenko, 2012). ბაუმისა და სხვების გათვლებით კი 0.9 მაშინ, როდესაც ეკონომიკაში იწყება დადმასვლის პერიოდი (Baum, Poplawski-Riberio, & Weber, 2012).

ფისკალური მულტიპლიკატორის ზომის დადგენის ეს მარტივი მეთოდი დაფუძნებულია მხოლოდ მარტივ, პრაქტიკულ წესზე და არა კონკრეტულ გაანგარიშებებზე. აგრეთვე, მისი კალიბრაცია განხორციელებულია მხოლოდ განვითარებული ქვეყნების წარსულ გამოცდილებაზე. მიუხედავად ამ ყველაფრისა, უნდა გვახსოვდეს, რომ განვითარებადი და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების

ფისკალურ მულტიპლიკატორებზე ზუსტად იგივე ფაქტორები ზემოქმედებენ, რაც განვითარებულ ქვეყნებში.

მულტიპლიკატორის ეს მოდელი უფრო ადეკვატური რომ იყოს რეალობასთან მიმართებით, მისი დიაპაზონის კორექტირება, გარდა კონიუნქტურული მახასიათებლებისა, უნდა განხორციელდეს შემდეგი გარემოებების მიხედვითაც:

- როდესაც ეკონომიკის უდიდესი ნაწილი მთავრობის მიერ კონტროლდება და კერძო სექტორის მოცულობა მცირეა, მაშინ შესაძლოა მულტიპლიკატორის დიაპაზონის დონის კორექტირება მოხდეს ზრდის მიმართულებით.
- ქვეყანაში შეიძლება იყოს დეიურე მოქნილი გაცვლითი კურსი, თუმცა ფინანსური სტაბილურობიდან გამომდინარე მონეტარული პოლიტიკა იყოს შეზღუდული და ხორციელდებოდეს კურსის მართვა/კონტროლი. ასეთ შემთხვევაშიც შესაძლოა გაიზარდოს მულტიპლიკატორის დიაპაზონის დონე.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ფისკალური პოლიტიკა მაღალი საანდოობით ხსიათდება, შეიძლება მულტიპლიკატორი შემცირდეს. აღნიშნული შემთხვევა გამყარებულია შემდეგი არგუმენტით: ნდობის ეფექტმა შეიძლება შეამსუბუქოს ფისკალური კონსოლიდაციის დანახარჯები.

### 2.3 სტრუქტურულ ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი (SVAR)

საქართველოში ფისკალური მულტიპლიკატორის შესაფასებლად ასევე გამოყენებულ იქნება სტრუქტურულ ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი SVAR. ზოგადად, ვექტორული ავტორეგრესიის VAR მოდელი გამოიყენება ეკონომიკური და ფინანსური ცვლადების დინამიკის აღსაწერად. იგი ასევე წარმოადგენს, პროგნოზირებისთვის ერთ-ერთ საბაზისო მოდელს. სტრუქტურულ მოდელში სტანდარტულ VAR მოდელისგან განსხვავებით გაითვალისწინება შესაბამის ცვლადებს შორის სტრუქტურული დამოკიდებულება, რაც აისახება მოდელში ცვლადების მიმდევრობით მათი ურთიერთგავლენის მიმართულების გათვალისწინებით. აღნიშნული მოდელით ხდება მთავრობის დანახარჯებსა და გადასახადებში არსებული შოკების დინამიკური ეფექტის დახასიათება ეკონომიკურ აქტივობაზე. ვექტორულ ავტორეგრესიასთან დაკავშირებული მოდელები უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება მონეტარული პოლიტიკის ეფექტის აღსაწერად, რაც დასტურია იმისა, რომ ფისკალური პოლიტიკის შემთხვევაშიც ამგვარი მეთოდოლოგიის გამოყენება უპრინია. უფრო მეტიც, მონეტარული პოლიტიკისგან განსხვავებით ფისკალური ცვლადების მერყეობა განპირობებულია მრავალ მიზეზთა გამო, სადაც ხშირ შემთხვევაში ერთობლივი გამოშვება არ არის მხოლოდ უპირატესი, ანუ, არსებობს მრავალი ეგზოგენური ფისკალური შოკი. გარდა ამისა, როგორც პირველ თავში აღინიშნა, მონეტარული პოლიტიკისგან განსხვავებით ფისკალური პოლიტიკის იმპლემენტაციას უფრო დიდი დრო სჭირდება. მაგალითად, ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით მოულოდნელ, დროებით ეკონომიკური რყევებზე რეაგირების მოსახდენად შეიძლება ერთი კვარტალიც კი არ იყოს საკმარისი.

უფრო დეტალურად, ვექტორული ავტორეგრესია არის  $n$ -განტოლებიანი და  $n$ -ცვლადიანი მოდელი, რომელშიც თითოეული ცვლადი შესაძლოა აიხსნას მისი და დანარჩენი  $n-1$  ცვლადის წარსული ან/და მიმდინარე მნიშვნელობებით. მაგალითად, დავუშვათ, რომ  $Y_t = (Y_{1t}, Y_{2t}, \dots, Y_{nt})$  არის დროითი მწკრივის ცვლადების ( $n \times 1$ ) ვექტორი, მაშინ სტანდარტულ  $p$ -ლაგიან (დროის ხანგრძლივობის სიგრძე) ვექტორთა ავტორეგრესიულ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$Y_t = c + \alpha_1 Y_{t-1} + \alpha_2 Y_{t-2} + \dots + \alpha_p Y_{t-p} + \varepsilon_t \quad t = 1, \dots, T$$

სადაც  $\alpha$  არის კოეფიციენტების ( $n \times n$ ) მატრიცა და  $\varepsilon$  არის ნულოვანი საშუალოსა და დროში უცვლელი კოვარიაციის მატრიცის მქონე შემთხვევით წევრთა ( $n \times 1$ ) მატრიცა.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი ვექტორული ავტორეგრესული მოდელი ეყრდნობა ბლანშარდ-პეროტის (Blanchard & Perotti, 2002) მეთოდოლოგიას, სადაც გამოყენებულია კვარტალური მონაცემები 1996-წლიდან 2018-წლამდე და დროითი ლაგი არის 4. ამ შემთხვევაში, კვარტალური მონაცემების გამოყენება უპირატესია იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს არსებით პირობას ფისკალური შოკების იდენტიფიცირებისათვის. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ გადასახადების გადახდა ხდება წლის ბოლო კვარტალში. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლები დამოკიდებული იქნება ბოლო და წინა სამ კვარტალში არსებულ მშპ-ზე, ხოლო წინა სამ კვარტალში მისი მოცულობა იქნება ნულის ტოლი და არ იქნება დამოკიდებული მშპ-ზე.

ბლანშარდ-პეროტის მეთოდოლოგიის გამოყენებით გაანგარიშებულ იქნება ორი მოდელი: პირველ მოდელში წარმოდგენილია: საგადასახადო შემოსავლები, სახელწიფო დანახარჯები (შრომის ანაზრაურება, საქონელი და მომსახურება და არაფინანსური აქტივების ზრდა) და მთლიანი შიდა პროდუქტი. მეორე მოდელი მოიცავს: საგადასახადო შემოსავლებს, არაფინანსური აქტივების ზრდას, სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯებს და მთლიან შიდა პროდუქტს. თითოეული მონაცემი წარმოდგენილია რეალურ გამოსახულებაში 10-ის ფუძით ლოგარითმის სახით. სეზონურობის შესამცირებლად გამოყენებულია Census-12 მეთოდოლოგია და დამი ცვლადები კვარტლების, ტრენდის და კვადრატული ტრენდის მიხედვით.

პირველ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$t_t = a_1 x_t + a_2 e_t^g + e_t^t \quad (1)$$

$$g_t = b_1 x_t + b_2 e_t^t + e_t^g \quad (2)$$

$$x_t = c_1 t_t + c_2 g_t + e_t^x \quad (3)$$

სადაც  $e_t^t$ ,  $e_t^g$  და  $e_t^x$  არის ერთმანეთთან კორელაციაში არმყოფი სტრუქტურული შოკები.

პირველი განტოლების მიხედვით საგადასახადო შემოსავლების ( $t_t$ ) ცვლილება დამოკიდებულია სამ ფაქტორზე: მშპ-ს გაუთვალისწინებელ ცვლილებაზე ( $x_t$ ), სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურულ ცვლილებაზე ( $e_t^g$ ) და გადასახადების სტრუქტურულ ცვლილებაზე ( $e_t^t$ ). იგივე ინტერპრეტაცია აქვს მეორე განტოლებასაც. ხოლო რაც შეეხება მესამეს, მშპ-ს ცვლილება დამოკიდებულია საგადასახადო შემოსავლების გაუთვალისწინებელ ცვლილებაზე ( $t_t$ ), სახელმწიფო დანახარჯების გაუთვალისწინებელ ცვლილებაზე ( $g_t$ ) და მშპ-ს სხვა ტიპის გაუთვალისწინებელ ცვლილებაზე ( $e_t^x$ ).

ზემოთ აღნიშნულ მოდელში რომ მოხდეს სტრუქტურული შეზღუდვების დაშვება, საჭიროა ფაქტორიზაციის მატრიცის განსაზღვრა, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$\begin{bmatrix} t_t \\ g_t \\ x_t \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 1 & 0 & -a_1 \\ 0 & 1 & -b_1 \\ -c_1 & -c_2 & 1 \end{bmatrix}^{-1} * \begin{bmatrix} * & a_2 & 0 \\ b_2 & * & 0 \\ 0 & 0 & * \end{bmatrix} * \begin{bmatrix} e_t^t \\ e_t^g \\ e_t^x \end{bmatrix}$$

მოცემული მოდელი ეყრდნობა შემდეგ დაშვებებს:  $a_1$  კოეფიციენტის, რომელიც გვიჩვენებს თუ რა გვალენა აქვს საგადასახადო შემოსავლებზე ეკონომიკურ აქტივობას, შეფასება ხდება ცალკე. საგადასახადო შემოსავლების მობილიზების სენსიტიურობა მშპ-ს მიმართ, რომელსაც ბუიონსი (Buoyancy) ეწოდება, შეიძლება შეფასდეს ორი გზით. პირველ გზა არის შედარებით მარტივი, რაც გულისხმობს საგადასახადო შემოსავლების პროცენტული ცვლილების შეფარდებას მისი დასაბეგრი ბაზის პროცენტულ ცვლილებასთან

$$\text{საგადასახადო ბუიონსი} = \frac{\Delta \text{საგადასახადო შემოსავლები}}{\Delta \text{მშპ}}$$

ხოლო მეორე გზა შედარებით უფრო ზუსტია და ეყრდნობა ცდომილების კორექციის მოდელს ECM. მისი ზოგადი სახე არის შემდეგი:

$$\Delta \log(t_t) = \alpha \log(t_{t-i}) + \beta \log(x_{t-i}) + \gamma \Delta \log(x_t) + u_t^{10}$$

სადაც:  $\gamma$  არის მოკლევადიანი ბუიონსი, ხოლო  $\frac{\beta}{-\alpha}$  კი გრძელვადიანი.

შემდეგი დაშვების თანახმად  $a_2=0$ , ვინაიდან საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები პირველადია. ასევე  $b_1 = 0$ , რადგან, ამ შემთხვევაში, ინტერესის საგანს არ წარმოადგენს ეკონომიკური აქტივობის გავლენის შეფასება სახელმწიფო დანახარჯებზე, ხოლო  $b_2$  კოეფიციენტის შეფასება კი ხდება მოდელში. რაც შეეხება  $c_1$  და  $c_2$  კოეფიციენტებს, რომლებიც ასახავს მშპ-ს დამოკიდებულებას საგადასახადო შემოსავლებზე და სახელმწიფო დანახარჯებზე, მათი გაანგარიშება ხდება ორსაფეხურიანი უმცირეს კვადრატთა (2SLS) მეთოდით.

მეორე მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$t_t = a_1 x_t + a_2 e_t^I + a_3 e_t^S + e_t^t \quad (1)$$

$$I_t = b_1 x_t + b_2 e_t^t + b_3 e_t^S + e_t^I \quad (2)$$

$$s_t = c_1 x_t + c_2 e_t^t + c_3 e_t^I + e_t^S \quad (3)$$

$$x_t = d_1 t_t + d_2 I_t + d_3 s_t + e_t^x \quad (4)$$

პირველი განტოლების თანახმად საგადასახადო შემოსავლების ცვლილება დამოკიდებულია მშპ-ს გაუთვალისწინებელ ცვლილებაზე ( $x_t$ ), არაფინანსური აქტივების ზრდის სტრუქტურულ ცვლილებაზე ( $e_t^I$ ), სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯების სტრუქტურულ ცვლილებაზე ( $e_t^S$ ) და გადასახადების სტრუქტურულ ცვლილებაზე ( $e_t^t$ ). იგივე ინტერპრეტაცია აქვს მეორე და მესამე განტოლებებსაც, ხოლო

<sup>10</sup> დეტალური გაანგარიშება წარმოდგენილია მე-3 თავში.

მეოთხე განტოლების შემთხვევაში კი, მშპ-ს ცვლილება დამიკიდებულია საგადასახადო შემოსავლების გაუთვალისწინებელ ცვლილებაზე ( $t_t$ ), არაფინანსური აქტივების ზრდის გაუთვალისწინებელ ცვლილებაზე ( $I_t$ ), სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯების გაუთვალისწინებელ ცვლილებაზე ( $s_t$ ) და მშპ-ს სხვა ტიპის გაუთვალისწინებელ ცვლილებაზე ( $e_t^x$ ).

რადგან ფუნქციონალური კავშირი არ არსებობს არაფინანსურ აქტივების ზრდასა და სოციალურ დანახარჯებს შორის, ასევე მათ შესახებ გადაწყვეტილებები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიღება, ამიტომ  $b_3$  და  $c_3$  უტოლდება ნულს. აგრეთვე, როგორც პირველ მოდელში, ისე მეორე მოდელში, ნულს უტოლდება  $a_2$  და  $a_3$ , რადგან საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები პირველადია, და ნულის ტოლია ასევე  $c_1$ , ვინაიდან ნაშრომის მიზანია შეფასდეს სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯების გავლენა მშპ-ზე და არა პირიქით. ამ ყველაფრის გათვალისწინებით  $b_2$  და  $c_2$  პარამეტრების შეფასება ხდება მოდელში, ხოლო  $a_1$  კი წინა შემთხვევის მსგავსად გაიანგარიშება.  $d_1$ ,  $d_2$  და  $d_3$  კოეფიციენტების გამოთვლა ისევ ორსაფეხურიანი უმცირეს კვადრატა მეთოდით (2SLS) ხდება.

მეორე მოდელის ფაქტორიზაციის მატრიცა კი არის შემდეგი:

$$\begin{bmatrix} t \\ I \\ s \\ x \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 1 & 0 & 0 & -a_1 \\ 0 & 1 & 0 & -b_1 \\ 0 & 0 & 1 & -c_1 \\ -d_1 & -d_2 & -d_3 & 1 \end{bmatrix}^{-1} * \begin{bmatrix} 1 & a_2 & a_3 & 0 \\ b_2 & 1 & b_3 & 0 \\ c_2 & c_3 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 \end{bmatrix} * \begin{bmatrix} e_t^t \\ e_t^I \\ e_t^s \\ e_t^x \end{bmatrix}$$

### თავი 3. ფისკალური მულტიპლიკატორი საქართველოში


#### 3.1 ფისკალური მულტიპლიკატორის მოცულობა საქართველოში მარტივი მოდელის მიხედვით

როგორც მე-2 თავში აღინიშნა, მოცემული მეთოდი წარმოადგენს ფისკალური მულტიპლიკატორის გაანგარიშების ზოგად მოდელს, რომელიც ადგენს მულტიპლიკატორის ზოგად დიაპაზონს. იგი გაყოფილია სამ ეტაპად: პირველი ეტაპი მოიცავს 6 სტრუქტურული მახასიათებლის მიხედვით ფისკალური მულტიპლიკატორის დახასიათებას, რაც გულისხმობს თითოეულ მახასიათებელზე 0 ან 1 ქულის მინიჭებას, მეორე ეტაპის მიხედვით ხდება ქულების შეჯამება და მულტიპლიკატორის დიაპაზონის განსაზღვრა (ასევე ამ ეტაპზე ხდება იმის გამოყოფა მულტიპლიკატორი მაღალია, დაბალი თუ საშუალო) და მესამე ეტაპზე მიმდინარეობს მიღებული დიაპაზონის კორექტირება ქვეყანაში არსებული დროებითი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

განვიხილოთ თითოეული ეტაპი საქართველოს შემთხვევაში:

#### პირველი ეტაპი


- *სავაჭრო ღიაობა (ქულა 0)* - იმის დასადგენად თუ რა ტიპის სავაჭრო პოლიტიკა აქვს საქართველოს, უნდა შევხედოთ იმპორტის თანაფარდობას მშპ-თან ბოლო 5 წლის განმავლობაში.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც გრაფიკ 5-დან ჩანს იმპორტის თანაფარდობა მშპ-თან მეტია 30%-ზე. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს აქვს ღია ტიპის ეკონომიკა, და შესაბამისად ამ კომპონენტში მიენიჭა 0 ქულა.

- **შრომის ბაზრის სიხისტე (ქულა 1)** - ამ შემთხვევაში შრომის ბაზრის სიხისტეში გასათვალისწინებელია შრომის ბაზრის რეგულაციები და პროფესიული კავშირების არსებობა. საქართველოს შეიძლება მიენიჭოს 1 ქულა. ამაზე მიუთითებს Doing Business-ის 2019 წლის ანგარიში<sup>11</sup> და ასევე საკანონმდებლო დონეზე არსებული რეგულაციები<sup>12</sup>.
- **ავტომატური სტაბილიზატორის ზომა (ქულა 1)** - ავტომატური სტაბილიზატორის შესაფასებლად გამოიყენება მთავრობის სამომხმარებლო დანახარჯების (შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება) თანაფარდობა მშპ-თან.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


ვინაიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მთავრობის სამომხმარებლო დანახარჯების თანაფარდობა მშპ-თან ნაკლებია 40%-ზე, ამიტომ ამ კომპონენტში საქართველოს მიენიჭა 1 ქულა.

- **გაცვლითი კურსის რეჟიმი (ქულა 0)** - რადგან საქართველოს ეროვნული ბანკის გაცხადებულ სავალუტო პოლიტიკას წარმოადგენს მცურავი გაცვლითი კურსი, ამიტომ საქართველოს ამ შემთხვევაში მიენიჭა 0 ქულა.

<sup>11</sup> <http://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/country/g/georgia/GEO.pdf>

<sup>12</sup> საქართველოს შრომის კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=11>

- სახელმწიფო ვალის უსაფრთხოების დონე (ქულა 0) - მე-2 თავში აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად სახელმწიფო ვალის უსაფრთხოების დონის შესაფასებლად გამოიყენება სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-თან.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ვინაიდან ბოლო 4 წლის განმავლობაში სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-თან მეტია 40%-ზე, ამიტომ საქართველოს ამ ნაწილში მიენიჭა 0 ქულა.

- მთავრობის დანახარჯების მართვისა და შემოსავლების ადმინისტრირების ეფექტიანობა (ქულა 1) - სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშგების (PEFA, 2018) ანგარიშში 2017 წელს, 2013 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ინდიკატორები საქართველოში. კერძოდ, 28-დან 9 ინდიკატორი გაუმჯობესებულია, ამასთან 6 ინდიკატორში ქულამ აიწია A შეფასებამდე, ხოლო გაუარესებულია მხოლოდ 1 ინდიკატორი. საერთო ჯამში, 2017 წლის მდგომარეობით 28-დან 20 ინდიკატორი შეფასებულია A ქულით.

ცხრილი 5. გადასახადების შესრულება				
2014	2015	2016	2017	2018
101.6%	101.5%	100.4%	100.6%	101.1%

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

PEFA-ს შეფასებით და ცხრილ 5-ზე წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე საქართველოს ამ კომპონენტში მიენიჭა 1 ქულა.

### მეორე ეტაპი

ჯამური შეფასება სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით:

ცხრილი 6.	
სტრუქტურული მახასიათებლები	ქულა
სავაჭრო დიაოზა	0
შრომის ბაზრის სიხისტე	1
ავტომატური სტაბილიზატორის ზომა	1
გაცვლითი კურსის რეჟიმი	0
სახელმწიფო ვალის უსაფრთხოების დონე	0
დანახარჯების/შემოსავლების ეფექტიანი მენეჯმენტი	1
<b>ჯამი</b>	<b>3</b>


საქართველოს ჯამური ქულა შეადგენს 3 და შესაბამისად, ამ მეთოდზე დაყრდნობით, მისი მულტიპლიკატორის ზომა მოსალოდნელია მოთავსებული იყოს [0.1-0.3] დიაპაზონში. მოცემული დიაპაზონის მიხედვით საქართველო კლასიფიცირდება დაბალი მულტიპლიკატორის მქონე ქვეყნების ჯგუფში.

### მესამე ეტაპი

მიღებული მულტიპლიკატორის დიაპაზონის კორექტირება დროებითი მახასიათებლების მიხედვით:

- დიაპაზონის კორექტირება საქმიანი ციკლის მდგომარეობის მიხედვით - საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშების მიხედვით 2000-2017 წლებში მშპ-ს საშუალო პოტენციური დონე შეადგენს 5.5% (მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგდასახადო პოლიტიკის განყოფილება,

გრაფიკი 8. მშპ-ს გეპი



წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

2019, გვ. 7). მოცემული დონე შესაძლოა გავრცელდეს 2018 წელზეც, რადგან ერთ წელიწადში მშპ-ს პოტენციური დონის ცვლილება პრაქტიკულად შეუძლებელია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2018 წელს მშპ-ს რეალური ზრდა იყო 4.7%. აქედან გამომდინარე მთლიანი შიდა პროდუქტის გეპი 2018 წელს უტოლდება -0.8%-ს და შესაბამისად დიაპაზონის კორექტირება მოხდება 16 პროცენტული პუნქტით.

- დიაპაზონის კორექტირება მონეტარული პოლიტიკის პოზიციის მიხედვით - საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით 2018 წლის ბოლო 2 კვარტალში რეფინანსირების განაკვეთი შეადგენს 7%-ს. მოცემული განაკვეთი ნათლად ასახავს მონეტარული პოლიტიკის პოზიციას იმ თვალსაზრისით, რომ იგი არ იმყოფება ნულოვანი ზღვარზე. აგრეთვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2018 წელს მშპ-ს გადახრა თავისი პოტენციური დონიდან არის მცირე და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ეს დონე არ ითვლება ეფექტიან ქვედა ზღვარად. შესაბამისად მულტიპლიკატორის დიაპაზონის კორექტირება მოხდება არა 30%-ით, არამედ 7%-ით.

მოცემული ორი დროებითი მახასიათებლიდან გამომდინარე მიღებული მულტიპლიკატორის დიაპაზონის კორექტირება მოხდება 23% (16%+7%)-ით და შესაბამისად ის იქნება [0.1-0.4]. აღნიშნული მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მოსალოდნელია, რომ გადასახადებისა და ხარჯების 1 ლარით ცვლილება იწვევს საშუალოდ 0.1-0.4 ლარით მშპ-ს ცვლილებას.

### 3.2 ფისკალური მულტიპლიკატორის მოცულობა საქართველოში SVAR მოდელის მიხედვით

სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესიის მოდელს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ფისკალური მულტიპლიკატორის შეფასებაში როგორც სამეცნიერო, ისე ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებში, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი. როგორც მეორე თავში აღინიშნა, იგი, სხვა მოდელებთან შედარებით, გამოირჩევა ორი უპირატესობით: პირველი, ფისკალურ ცვლადებზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ მშპ, არამედ მრავალი სხვა ეგზოგენური ცვლადები და მეორე, ფისკალური პოლიტიკის შეახებ არსებულ გადაწყვეტილებებს და შემდგომ მის იმპლემენტაციას გარკვეული დრო სჭირდება, რაც მისი დისკრეციულობის ან, მარტივად რომ ვთქვათ, მოქნილობის ეფექტს ავტომატურად დროებითი შოკების გასანეიტრალებლად ამცირებს. ანუ, ძირითადად ფისკალური პოლიტიკის რეაგირება ეკონომიკურ პროცესებზე ხდება „პოსტფაქტუმ“. სწორედ ამიტომ გამოიყენება SVAR მოდელი, რომელიც ასახავს ფისკალური ცვლადების არამხოლოდ მიმდინარე, არამედ წარსულ გავლენას მშპ-ზე. აქედან გამომდინარე უპირანი იქნება მისი გამოყენება საქართველოს შემთხვევაშიც.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, გამოიყენება ორი ტიპის SVAR მოდელი. პირველი შედარებით ზოგადია და აღწერს ფისკალური პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტების, გადასახადებისა და სახელმწიფო დანახარჯების გავლენას მშპ-ზე, ხოლო მეორე შემთხვევაში ხდება სახელმწიფო დანახარჯების ჩაშლა კონკრეტული კომპონენტების მიხედვით.

სანამ უშუალოდ თითოეული მოდელის განხილვაზე გადავალთ, მანამდე უნდა განვიხილოთ რამდენიმე საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მონაცემებთან და მოდელის სპეციფიკაციასთან. მოდელში გამოყენებული ცვლადების სტაციონალურობის/არასტაციონალურობის დასადგენად გამოყენებულია Augmented Dickey-Fuller -ის ტესტი. აღნიშნული ტესტით ირკვევა, რომ მონაცემები საწყის დონეზე არასტაციონალურია, ხოლო პირველი რიგის სხვაობის შემთხვევაში კი სტაციონალური (იხ. ცხრილი 7.)

ცხრილი 7. Augmented Dickey-Fuller -ის ტესტი (ნულოვანი ჰიპოთეზა: არასტაციონალურია)		
	საწყისი დონე	პირველი რიგის სხვაობა
ცვლადები	t-სტატისტიკა	t-სტატისტიკა
$t^{13}$	-2.381729	-11.74436
$I^{14}$	-0.745421	-14.09672
$s^{15}$	-1.676301	-8.210975
$g^{16}$	-0.782052	-12.35497
$x^{17}$	-1.500893	-12.50888

ასევე Johansen-ის ტესტის თანახმად მოცემულ მოდელებში გამოყენებულ ცვლადებს შორის არის კონტეგრაცია. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ უნდა მოხდეს ცდომილების კორექციის მოდელის (VECM) გამოყენება, თუმცა ფოლკი, ტენჰოფენი და ვოლფი აღნიშნავენ, რომ მოდელით, რომელიც შეიცავს მრავალი ცვლადების დროით მწკრივებს, ძნელია კონტეგრაციის ეკონომიკური ინტერპრეტაცია. ასევე აქვე დასძენენ, რომ ამ შემთხვევაში არასტაციონალურობის საკითხი არ წარმოადგენს პრობლემას SVAR მოდელისათვის, რადგან ანალიზი ეფუძვნება არა კოეფიციენტების, არამედ დინამიკური ეფექტის შეფასებას (დაკვირვება ხდება ე.წ impulse responses function-ზე) (Heppke-Falk, Tenhofen, & Wolff, 2006). გარდა ამისა ბლანშარდი და პეროტიც აღნიშნავენ, რომ შედეგებში მნიშვნელოვანი განსხვავება არ მიიღება კონტეგრაციის ფაქტორის გათვალისწინება-არგათვალისწინებით. აგრეთვე პიტერ ფილიპსის აზრითაც, როდესაც არ ხდება გრძელვადიანი დინამიკური ეფექტის ანალიზი, მაშინ შესაძლებელია არასტაციონალური ცვლადების გამოყენებით ვექტორული ავტორეგრესიის შეფასება (Phillips, 1998). ამ ყველაფრის გათვალისწინებით შესაძლებელია მოცემულ ნაშრომში სტაციონალურობის პრობლემის უგულვებელყოფა და, შესაბამისად მიზანშეწონილია SVAR მოდელის გამოყენა, რომელიც აკმაყოფილებს სხვა ყველა ვალიდურობის ძირითად დიაგნოსტიკურ ტესტს. კერძოდ, მოდელი არ ხასითდება სერიული კორელაციით,

<sup>13</sup> საგადასახადო შემოსავლები

<sup>14</sup> არაფინანსური აქტივების ზრდა

<sup>15</sup> სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯები

<sup>16</sup> სახელმწიფო დანახარჯები (შრომის ანაზრაურება, საქონელი და მომსახურება და არაფინანსური აქტივების ზრდა)

<sup>17</sup> შპპ

ჰეტეროსკედასტრობითა და ნარჩენობითი წევრი ნორმალურად არის განაწილებული. განვიხილოთ თითოეული მოდელი ცალ-ცალკე:

**პირველი მოდელი:**

პირველი მოდელის სტრუქტურა და ფაქტორიზაციის მატრიცა არის შემდეგი:

$$t_t = a_1 x_t + a_2 e_t^g + e_t^t \quad (1)$$

$$g_t = b_1 x_t + b_2 e_t^t + e_t^g \quad (2)$$

$$x_t = c_1 t_t + c_2 g_t + e_t^x \quad (3)$$

$$\begin{bmatrix} t_t \\ g_t \\ x_t \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 1 & 0 & -a_1 \\ 0 & 1 & -b_1 \\ -c_1 & -c_2 & 1 \end{bmatrix}^{-1} * \begin{bmatrix} * & a_2 & 0 \\ b_2 & * & 0 \\ 0 & 0 & * \end{bmatrix} * \begin{bmatrix} e_t^t \\ e_t^g \\ e_t^x \end{bmatrix}$$

როგორც მე-2 თავში აღინიშნა, მოდელის სტრუქტურული შეზღუდვიდან გამომდინარე  $a_2$  და  $b_1$  კოეფიციენტები უტოლდება 0-ს, ხოლო  $b_2$  კოეფიციენტის შეფასება ხდება მოდელში. ახლა კი გამოვთვალოთ  $a_1$ ,  $c_1$  და  $c_2$  და შევიტანოთ შემდეგ ისინი ფაქტორიზაციის მატრიცაში.

$a_1$  ელასტიკურობის კოეფიციენტი ასახავს მშპ-ს ცვლილების გავლენას საგადასახადო შემოსავლებზე. აღნიშნული დამოკიდებულების გასაანგარიშებლად არსებობს სხვადასხვა მეთოდები, თუმცა შედარებით ყველაზე ზუსტი არის ცდომილების კორექციის მოდელი (ECM). ECM მოდელი გამოიყენება ძირითადად მაშინ, როდესაც ცვლადები არის არასტაციონალური და მათ შორის არსებობს გრძელვადიანი კონტეგრაცია. ეკონომიკური თეორიის თანახმად მრავალ ეკონომიკურ ცვლადს შორის არსებობს გრძელვადიანი წონასწორობის კავშირი, თუმცა გარკვეული ეკონომიკური კონიუნქტურიდან ან მთავრობის ქმედებებიდან გამომდინარე ხდება ამ წონასწორობიდან გადახრა. მაგალითად განვიხილოთ კიტრის ბაზარი ერთი ქვეყნის ორ ნაწილში, პირობითად, ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილში. დავუშვათ, ჩრდილოეთ რეგიონში კიტრის ფასი არის  $P_n$ , ხოლო სამხრეთში  $P_s$ . თუ  $P_n = P_s$ , მაშინ ბაზარი არის წონასწორობაში, მაგრამ თუ  $P_n > P_s$ , მაშინ არ არის წონასწორობა და დაიწყება ვაჭრობა. კერძოდ, სამხრეთში მოხდება კიტრის შესყიდვა და ჩრდილოეთში მისი გაყიდვა,

შესაბამისად  $P_n$  დაიწყებს შემცირებას  $P_s$ -ს ზრდას და საბოლოოდ ისინი გაუტოლდებიან ერთმანეთს, ანუ მიიღწევა გრძელვადიანი წონასწორობა. თუ ცვლადები არასტაციონალურია, მაგრამ მათ შორის არსებობს კონინტეგრაცია, მაშინ მათი წრფივი კომბინაცია არის სტაციონალური. კიტრის ბაზრის მაგალითს რომ დავუბრუნდეთ,  $P_n$  და  $P_s$  ინდივიდუალურ დონეზე შიძლება არ იყოს სტაციონალური, თუმცა მათი წრფივი სხვაობა იქნება სტაციონალური. Johansen-ის ტესტის შესაბამისად საქართველოში საგადასახადო შემოსავლებსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის არსებობს კონინტეგრაცია, რაც საბოლოოდ გვაძლევს საშუალებას  $a_1$  კოეფიციენტის შესაფასებლად გამოვიყენოთ ECM მოდელი. მისი ზოგადი სახე არის შემდეგი:

$$\Delta \log(t_t) = \alpha \log(t_{t-i}) + \beta \log(x_{t-i}) + \gamma \Delta \log(x_t) + u_t^{18}$$

სადაც:  $\gamma$  არის მოკლევადიანი ბუიონსი, ხოლო  $\frac{\beta}{-\alpha}$  კი გრძელვადიანი<sup>19</sup>.

ცხრილი 8. ცდომილების კორექციის მოდელის შედეგი				
დამოკიდებული ცვლადი: t-t(-4)				
ამხსნელი ცვლადი	კოეფიციენტი	სტანდ. შეცდომა	t-სტატისტიკა	ნულოვანი ალბათობა
x-x(-4)	1.173693	0.192629	6.093034	0.0000
t(-4)	-0.514806	0.09486	-5.427017	0.0000
x(-4)	0.988576	0.187944	5.259949	0.0000
t(-1)-t(-5)	0.242112	0.064268	3.767232	0.0003
dummy_01	-0.349022	0.072866	-4.789944	0.0000
dummy_02	0.208751	0.080986	2.577619	0.0118
C	-4.815036	0.945176	-5.094327	0.0000

ცხრილ 8-ში წარმოდგენილია ECM მოდელის გაანგარიშება, სადაც გარდა ამხსნელი ცვლადებისა წარმოდგენილია დამი ცვლადებიც, რომელშიც გათვალისწინებულია სტრუქტურული ცვლილებები. ვინაიდან დამი ცვლადების ჩართვა მოხდა მოდელში, ამიტომ მივიღეთ არა გადასახადების ბუიონსი, არამედ მისი ელასტიკურობა მშპ-ს მიმართ. მიმდინარე ნაშრომის სპეციფიკაციიდან გამომდინარე იტერესის საგანს წარმოადგენს მოკლევადიანი სგადასახადო შემოსავლების ელასტიკურობა, შესაბამისად

<sup>18</sup> რეგრესიაში წარმოდგენილი მონაცემები არის კვარტალური: 1996Q1-2018Q4

<sup>19</sup>  $i = 4$ , ანუ გამოყენებულია 1 წლის ლაგი.

$a_1 = 1.17$ . ანუ მშპ-ს 1%-იანი ცვლილება იწვევს საგდასახადო შემოსვლების 1.17%-იან ცვლილებას.

რაც შეეხება  $c_1$  და  $c_2$  კოეფიციენტებს, ბლანშარდი და პეროტი მათ გაანგარიშებას ახორციელებენ ორსაფეხურიანი უმცირესკვადრატთა მეთოდით (2SLS). მოცემული მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ, როდესაც ამხსნელი ცვლადი კორელირებს ნარჩენობით წევრთან, მაშინ საჭიროა ინსტრუმენტული ცვლადის ჩართვა რეგრესიაში, რომელიც კავშირში იქნება ამ ამხსნელ ცვლადთან და კორელაციაში არ იქნება ნარჩენობით წევრთან (residual). წინააღმდეგ შემთხვევაში კოეფიციენტების შეფასება იქნება არაზუსტი. გარდა ამისა, რეგრესიაში ინსტრუმენტული ცვლადის ჩართვით ხდება ამხსნელი ცვლადების ეგზოგენურობის განმტკიცება. მაგალითად ავიღოთ შემდეგი რეგრესია:

$$\log(wage) = \beta_0 + \beta_1 edu + \beta_2 abil + e \quad (4)$$

სადაც წარმოდგენილია ხელფასის (wage) დამოკიდებულება უმაღლესი განათლების წლებზე (edu) და უნარჩვევებზე (abil). ვინაიდან უნარჩვევები დაუკვირებადი ცვლადია და მისი დათვლა შეუძლებელია, ამიტომ უნდა მოხდეს მისი ამოღება რეგრესიიდან და მივიღებთ:

$$\log(wage) = \beta_0 + \beta_1 edu + e \quad (5)$$

ე.ი ამ უკანასკნელი რეგრესიის მიხედვით ხელფასების მოცულება დამოკიდებულია უმაღლესი განათლების წლებზე. თუმცა თუ განათლების წლები (edu) და უნარჩვევები (abil) კორელაციაშია ერთმანეთთან, მაშინ მე-5 განტოლების სახით წარმოდგენილი რეგრესიის შეფასება უმცირეს კვადრატთა (OLS) მეთოდით არაზუსტი იქნება. ამისათვის უნდა მოხდეს *ინსტრუმენტული ცვლადის* შემოტანა მოდელში და იგი უნდა შეფასდეს ორსაფეხურიანი უმცირესკვადრატთა მეთოდით (2SLS). ეს ინსტრუმენტული ცვლადი, რომელიც ავლნიშნოთ  $z$ -ით, კორელაციაში უნდა იყოს  $edu$ -თან და არ უნდა იყოს კორელაციაში  $e$ -თან. მართალია მეროე პირობას პირდაპირ ვერ დავტესტავთ, რადგან შეუძლებელია  $e$ -ზე დაკვირვება, მაგრამ შეიძლება პირველი პირობის დატესტვა შემდეგნაირად:

$$edu = \pi_0 + \pi_1 z + v$$

თუ  $\pi_1$  სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, მაშინ მისაღებია ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ შესაძლოა  $z$ -ის გამოყენება, როგორც ინსტრუმენტული ცვლადი. ბლანშარდ-პეროტის მოდელში ინსტრუმენტულ ცვლადად გამოყენებულია

$$v_t = t_t - a_1 x_t - a_2 e_t^g$$

ვინაიდან მოდელის მიხედვით  $a_2=0$ , ამიტომ ინსტრუმენტული ცვლადი იქნება შემდეგი:

$$v_t = t_t - a_1 x_t$$

აღნიშნული ინსტრუმენტული ცვლადი გამოიყენება მე-3 განტოლებაში  $t_t$ -თვის, ხოლო  $g_t$ -ს ჩართვა ინსტრუმენტის სახით ხდება ავტომატურად. ამ ყველაფრის გათვალისწინებით  $c_1$  და  $c_2$  კოეფიციენტები იქნება შესაბამისად -0.25 და 0.14 (იხ. ცხრილი 9)

ცხრილი 9. ორსაფეხურიანი უმცირესკვადრატთა მეთოდი (2SLS)				
დამოკიდებული ცვლადი: x				
ამხსნელი ცვლადი	კოეფიციენტი	სტანდ. შეცდომა	t-სტატისტიკა	ნულოვანი ალბათობა
t	-0.250623	0.109434	-2.290171	0.0245
g	0.141141	0.040697	3.468088	0.0008
x(-4)	1.254412	0.163929	7.652181	0.0000
C	-1.292727	0.841253	-1.536668	0.1281


თუ  $a_1$ ,  $c_1$  და  $c_2$  კოეფიციენტებს შევიტანთ, მაშინ ფაქტორიზაციის მატრიცა იქნება:

$$\begin{bmatrix} t_t \\ g_t \\ x_t \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 1 & 0 & -1.17 \\ 0 & 1 & 0 \\ 0.25 & -0.14 & 1 \end{bmatrix}^{-1} * \begin{bmatrix} * & 0 & 0 \\ b_2 & * & 0 \\ 0 & 0 & * \end{bmatrix} * \begin{bmatrix} e_t^t \\ e_t^g \\ e_t^x \end{bmatrix}$$


ზემოთ წარმოდგენილი სტრუქტურული შეზღუდვების შედეგად მიღებულ SVAR მოდელში გადასახადებისა და სახელმწიფო დანახარჯების დინამიკური გავლენა მშპ-ზე (impulse responses function) გამოსახულია გრაფიკ 9-ზე.

როგორც ცხრილზე ჩანს, საგადასახადო შემოსავლების გავლენა მშპ-ზე თავდაპირველად არის ნეგატიური, შემდეგ პოზიტიური და მე-4 კვარტალიდან მისი გავლენა მცირდება. გრაფიკი 9. პირველი მოდელი

საგადასახადო შემოსავლების გავლენა მშპ-ზე



სახელმწიფო დანახარჯების გავლენა მშპ-ზე



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ

სახელმწიფო დანახარჯების გავლენა კი მთელს პერიოდზე პოზიტიურია და დროის გასვლის შემდეგ მცირდება (მიილევს). იხილეთ ცხრილი 10, სადაც წარმოდგენილია ფისკალური მულტიპლიკატორების მოცულობები შემდეგი ინსტრუმენტების მიხედვით:

ცხრილი 10. ფისკალური მულტიპლიკატორების 2 წლიანი დინამიკა (პირველი მოდელი)

	I წელი				II წელი			
	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
საგადასახადო შემოსავლების ცვლილება	-0.46	0.28	0.30	0.76	0.56	0.51	0.47	0.43
სახელმწიფო დანახარჯების ცვლილება	1.01	1.10	1.16	1.10	1.02	0.92	0.95	0.89

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ

მოცემული ცხრილიდან იკვეთება საინტერესო გარემოებები. კერძოდ, სახელმწიფო დანახარჯების ცვლილების გავლენა მშპ-ზე აღემატება საგადასახადო შემოსავლების ცვლილების გავლენას და მოკლევადიან პერიოდში საშუალოდ 1.1-ს უტოლდება, რაც

ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო დანახარჯების 1%-იანი ცვლილება იწვევს მშპ-ს 1.1%-იან ცვლილებას<sup>20</sup>. საგადასახდო შემოსავლების მულტიპლიკატორი კი მოკლევადიან პერიოდში უტოლდება საშუალოდ 0.3-ს.

### მეორე მოდელი:

მეორე მოდელში, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ხდება სახელმწიფო დანახარჯების ჩაშლა კონკრეტული კომპონენტების მიხედვით და შეიძლება ითქვას, რომ ეს მიდგომა უფრო ფართო ჭრილში წარმოაჩენს ფისკალურ მულტიპლიკატორებს. აღნიშნულ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$t_t = a_1 x_t + a_2 e_t^I + a_3 e_t^S + e_t^t \quad (1)$$

$$I_t = b_1 x_t + b_2 e_t^I + b_3 e_t^S + e_t^I \quad (2)$$

$$s_t = c_1 x_t + c_2 e_t^I + c_3 e_t^S + e_t^S \quad (3)$$

$$x_t = d_1 t_t + d_2 I_t + d_3 s_t + e_t^x \quad (4)$$

მოდელის სტრუქტურული შეზღუდვიდან გამომდინარე  $a_2$ ,  $a_3$ ,  $b_1$ ,  $b_3$ ,  $c_1$  და  $c_3$  კოეფიციენტები უტოლდება ნულს.  $b_2$  და  $c_2$  პარამეტრების შეფასება ხდება მოდელში, ხოლო  $a_1$  კი წინა შემთხვევის მსგავსად გაიანგარიშება.  $d_1$ ,  $d_2$  და  $d_3$  კოეფიციენტების გამოთვლა ისევ ორსაფეხურიანი (2SLS) უმცირეს კვადრატა მეთოდით ხდება.

წინა მოდელის მსგავსად ამ შემთხვევაშიც გამოიყენება იგივე დაშვებები, კერძოდ  $a_1$  უტოლდება 1.17-ს და მე-4 განტოლებაში  $t_t$ -თვის გამოიყენება იგივე ინსტრუმენტული ცვლადი. (2SLS) მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული  $d_1$ ,  $d_2$  და  $d_3$  ელასტიკურობის კოეფიციენტები არის შესაბამისად -0.12, 0.4 და -0.01. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ფაქტორიზაციის მატრიცას ექნება შემდეგი სახე:

---

<sup>20</sup> ვინაიდან მონაცემები გამოსახულია ლოგარითმის სახით, ამიტომ მულტიპლიკატორი გამოსახულია პროცენტულ მაჩვენებელში.

$$\begin{bmatrix} t^{21} \\ I^{22} \\ S^{23} \\ \chi^{24} \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 1 & 0 & 0 & -1.17 \\ 0 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 1 & 0 \\ 0.12 & -0.4 & 0.01 & 1 \end{bmatrix}^{-1} * \begin{bmatrix} * & 0 & 0 & 0 \\ b_2 & * & 0 & 0 \\ c_2 & 0 & * & 0 \\ 0 & 0 & 0 & * \end{bmatrix} * \begin{bmatrix} e_t^t \\ e_t^I \\ e_t^S \\ e_t^X \end{bmatrix}$$

ეს მოდელიც აკმაყოფილებს ყველა ვალიდურობის ძირითად დიაგნოსტიკურ ტესტს. სახელდობრ, მოდელი არ ხასითდება სერიული კორელაციით, ჰეტეროსკედასტურობითა და ნარჩენობითი წევრი ნორმალურად არის განაწილებული.

მოცემული 4-ცვლადიანი SVAR მოდელით შეფასებული საგადასახადო შემოსავლების, არაფინანსური აქტივების ზრდის (სახელმწიფო ინვესტიციების) და სოციალური უზრუნველყოფის გავლენები მშპ-ზე წარმოდგენილია გრაფიკ 10-ზე.

---

<sup>21</sup> საგადასახადო შემოსავლები


<sup>22</sup> არაფინანსური აქტივების ზრდა (სახელმწიფო ინვესტიციები)

<sup>23</sup> სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯები


<sup>24</sup> მშპ

გრაფიკი 10. მეორე მოდელი


საგადასახადო შემოსავლების გავლენა მშპ-ზე



სახელმწიფო ინვესტიციების გავლენა მშპ-ზე



სოც. უზრუნველყოფის დანახარჯების გავლენა მშპ-ზე



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ

ამ მოდელში საგადასახადო შემოსავლების გავლენა მშპ-ზე პირველ კვარტალში არის ნეგატიური, შემდეგ პოზიტიური, შემდეგ ისევ ნეგატიური და მე-4 კვარტალიდან ნულთან ახლოსაა. სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტი მშპ-ზე არის პოზიტიური მთელს პერიოდში და, რაც მთავარია, დროის გასვლის კვალდაკვალ არათუ მცირდება, არამედ იზრდება. რაც შეეხება სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯებს, იგი მხოლოდ მე-3 კვარტალშია პოზიტიური, ხოლო სხვა შემთხვევებში - ნეგატიური. ცხრილი 11-ში კი წარმოდგენილია ფისკალური მულტიპლიკატორების მოცულობები შემდეგი ინსტრუმენტების მიხედვით:

ცხრილი 11. ფისკალური მულტიპლიკატორების 2 წლიანი დინამიკა (მეორე მოდელი)

გავლენა მშპ-ზე	I წელი				II წელი			
	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
საგადასახადო შემოსავლების ცვლილება	-0.35	0.19	-0.33	0.10	-0.01	0.12	0.16	0.10
სახელმწიფო ინვესტიციების ცვლილება	0.99	0.99	0.81	1.15	0.99	1.11	1.26	1.24
სოც. უზრუნველ. დანახარჯების ცვლილება	-0.16	-0.15	0.15	-0.24	-0.60	-0.69	-0.58	-0.63

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ

მიღებული შედეგით ირკვევა, რომ მშპ-ზე ყველაზე დიდ, თან პოზიტიური, გავლენას ახდენს სახელმწიფო ინვესტიციები და მოკლევადიან პერიოდში საშუალოდ შეადგენს 1-ს. ანუ მისი 1%-იანი ცვლილება იწვევს მშპ-ს იგივე მოცულობით ცვლილებას. საგადასახადო შემოსავლებს, ამ შემთხვევაში, მოკლევადიან პერიოდში აქვს ნეგატიური გავლენა და საშუალოდ არის -0.1. ასევე ნეგატიურია სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯების ზეგავლენა მშპ-ზე და მოკლევადიან პერიოდში საშუალოდ ისიც -0.1-ს უტოლდება.

### ალტერნატიული მიდგომა


როგორც უკვე აღინიშნა, ენდოგენურ და ეგზოგენურ ცვლადებს შორის დინამიკური ურთიერთკავშირის აღსაწერად მოდელში მოხდა არასტაციონალური ცვლადების ჩართვა და შესაბამისად გაკეთდა დასკვნა იმის შესახებ, რომ აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს პრობლემას. მიუხედავად ამისა, მიმდინარე ნაშრომში შემოთავაზებულია ალტერნატიული მიდგომა, რომელიც ეფუძვნება გრიფიზის ბიზნეს სკოლის (griffith business school) პროფესორ ფაბრიზიო ქარმიგნანის მიდგომას. კერძოდ, იგი იყენებს, ანალოგიურად, ბლანშარდ-პეროტის მოდელს ავსტრალიაში სახელმწიფო დანახარჯების

მშპ-ზე გავლენის შესაფასებლად, ოღონდ არასტაციონალურობის აღმოსაფხვრელად ცვლადებს ფილტრავს ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრით (Hodrick-Prescott filter) და შემდეგ შეაქვს მოდელში მათი ციკლური ნაწილი (Carmignani, 2014, p. 6). შესაბამისად ამ ნაშრომის ალტერნატიული მიდგომაც სწორედ ამას გულისხმობს. ანუ ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრით ხდება ცვლადებზე ტრენდული კომპონენტის მოხსნა და შემდეგ მათი შეტანა მოდელში. წინა მოდელის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ყველა სტრუქტურული შეზღუდვა რჩება იგივე. განვიხილოთ თითოეული მოდიფიცირებული მოდელი:

**პირველი მოდიფიცირებული მოდელი:**

საგადასახადო შემოსავლებისა და სახელმწიფო დანახარჯების გავლენა მშპ-ზე პირველი მოდიფიცირებული მოდელის მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკ 11-ზე.

გრაფიკი 11. პირველი მოდიფიცირებული მოდელი



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ

მე-4 და 5-კვარტალის გარდა საგადასახადო შემოსავლების გავლენა მშპ-ზე არის ნეგატიური. სახელმწიფო დანახარჯების მე-5 კვარტალამდე დადებითია და შემდეგ უახლოვდება ნულს. შეიძლება ითქვას, რომ დიდი განსხვავება არ არის წინა ანალოგიურ მოდელთან შედარებით. წინა შემთხვევაში სახელმწიფო დანახარჯების გავლენა იყო პოზიტიური და მზარდი, ამ შემთხვევაში კი კლებადია და ნულს უახლოვდება, რაც ბუნებრივია, რადგან მოდელში ჩართულია ცვლადების ციკლური კომპონენტი და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ ხდება მისი გავლენის მიღწევა. ცხრილი 12-ში

მოცემულია ფისკალური მულტიპლიკატორების მოცულობები შემდეგი ინსტრუმენტების მიხედვით:

ცხრილი 12. ფისკალური მულტიპლიკატორების 2 წლიანი დინამიკა (პირველი მოდიფიცირებული მოდელი)

გავლენა მშპ-ზე	I წელი				II წელი			
	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
საგადასახადო შემოსავლების ცვლილება	-0.67	0.06	-0.23	0.40	0.13	-0.13	-0.04	-0.29
სახელმწიფო დანახარჯების ცვლილება	1.23	0.85	0.75	0.24	0.19	-0.09	-0.02	0.01

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ

საგადასახადო შემოსავლების ზეოქმედება მშპ-ზე მოკლევადიან პერიოდში საშუალოდ არის ნეგატიური და შეადგენს -0.11-ს. სახელმწიფო დანახარჯების კი, ამ შემთხვევაშიც, მაღალია და მოკლევადიან პერიოდში საშუალოდ უტულდება 0.77-ს.

### მეორე მოდიფიცირებული მოდელი



მეორე მოდიფიცირებულ მოდელის შედეგები მოცემულია გრაფიკ 12-ზე და ცხრილ 13-ში, საიდანაც შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

საგადასახადო შემოსავლების გავლენა მშპ-ზე თავდაპირველად უარყოფითია, მე-3 და მე-4 კვარტალში დადებითი, შემდეგ იწყება მისი შესუსტება და უახლოვდება ნულს. მოკლევადიან პერიოდში იგი შეადგენს საშუალოდ 0.07-ს. სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტი, როგორც ყოველთვის, მაღალი და პოზიტიურია. მოკლევადიან პერიოდში ის საშუალოდ არის 0.75. რაც შეეხება სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯებს, ამ შემთხვევაშიც, იგი 8 კვარტალის განმავლობაში ნეგატიურია და მოკლევადიან პერიოდში საშუალოდ უტოლდება -0.3-ს.


გრაფიკი 12. მეორე მოდიფიცირებული მოდელი

საგადასახადო შემოსავლების გავლენა მშპ-ზე

სახელმწიფო ინვესტიციების გავლენა მშპ-ზე



სოც. უზრუნველყოფის დანახარჯების გავლენა მშპ-ზე



წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ

ცხრილი 13. ფისკალური მულტიპლიკატორების 2 წლიანი დინამიკა (მეორე მოდიფიცირებული მოდელი)

გავლენა მშპ-ზე	I წელი				II წელი			
	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
საგადასახადო შემოსავლების ცვლილება	-0.29	0.28	-0.15	0.44	0.18	-0.13	0.06	-0.16
სახელმწიფო ინვესტიციების ცვლილება	1.23	0.59	0.41	0.76	0.62	0.27	0.31	0.29
სოც. უზრუნველ. დანახარჯებ	-0.18	-0.30	-0.11	-0.63	-0.63	-0.60	-0.30	-0.24

ის ცვლილება								
----------------	--	--	--	--	--	--	--	--

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ

ფისკალური პოლიტიკის და მოცემული მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე ძრითადი ყურადღება ექცევა პირველ კვარტალში არსებულ ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების მულტიპლიკატორების მოცულობებს, თუმცა ასევე საინტერესოა ერთწლიანი ორწლიანი და სამწლიანი კუმულაციური მულტიპლიკატორები (იხ. ცხრილი 14). ზოგადად, კუმულაციური მულტიპლიკატორი ასახავს დინამიკური ეფექტის აკუმულირებულ/ჯამურ მოცულობას.

ცხრილი 14.

გავლენა მშპ-ზე	I კვარტალი	I წლის კუმულაციური მულტიპლიკატორი	II წლის კუმულაციური მულტიპლიკატორი	III წლის კუმულაციური მულტიპლიკატორი
საგადასახადო შემოსავლების ცვლილება	-0.29	0.28	-0.05	-0.54
სახელმწიფო ინვესტიციების ცვლილება	1.23	2.99	1.49	0.09
სოც. უზრუნველ. დანახარჯების ცვლილება	-0.18	-1.22	-1.78	-0.60
სახელმწიფო დანახარჯების ცვლილება	1.01	3.06	0.08	-0.15

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ

## დასკვნები და რეკომენდაციები

- ზემოთ არსებული მსჯელობისა და მეცნიერ-მკვლევართა განსხვავებული მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფისკალური პოლიტიკა არის ის მთავარი ბერკეტი, რომლის მეშვეობითაც მთავრობას შეუძლია სიღრბის დაძლევა უმუშევრობის დონის შემცირება, წარმოების მოცულობის გაზრდა და ზოგადად ეკონომიკური განვითარების მიღწევა.
- ფისკალური პოლიტიკა პირდაპირ თუ ირიბად ყოველთვის იყო განხილვის საკითხი როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკურ წრეებში. მისი განხილვა ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან იწყება და პრაქტიკულად ყველა ეკონომიკურ მოძღვრებათა ყურადღების ცენტრშია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დანახარჯებისა და მისი დაფინანსების წყაროების ისტორია საუკუნეებს ითვლის, ფისკალური პოლიტიკა ითვლება მე-20 საუკუნის გამოგონებად, როდესაც ჯონ მენარდ კეიმზა წამოაყენა იდეა სახელმწიფოს ეკონომიკაში აქტიური ჩარევის შესახებ.
- მე-20 საუკუნემდე ძირითადად ხორციელდებოდა დაბალანსებული საბიუჯეტო პოლიტიკა, გარდა ისეთი გამონაკლისი შემთხვევებისა, როგორცაა ომები და რევესიები. ძირითადად, როდესაც ქვეყნები აღნიშნულ შოკებს დააღწევდნენ თავს და დაიწყებოდა ეკონომიკური აღმავლობა ყოველთვის იფარებოდა დეფიციტი და შესაბამისად სახელმწიფო ვალეები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რადიკალურად იცვლება სურათი და იწყება დეფიციტური ბიუჯეტების ერა. ეს უკანასკნელი განპირობებული იყო, ერთის მხრივ, კეინზიანური მიდგომით ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ, რაც გულისხმობს ექსპანსიური პოლიტიკის მეშვეობით ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას და, მეორეს მხრივ, სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯების ზრდით.
- 1970-იან და 1980-იან წლებში ბიუჯეტის დეფიციტი მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა მთელი რიგი ქვეყნებისთვის, რამაც გამოიწვია სახელმწიფო ვალეების დრამატული ზრდა. 1990-იან და 2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა დეფიციტის შესამცირებლად, რასაც უძღოდა მთელი რიგი საკანონმდებლო რეგულაციებისა ნორმების ჩამოყალიბება.

თუმცა, 2007 წლიდან დაწყებულმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა დრამატულად შეცვალა ვითარება და დაიწყო ახალი საბიუჯეტო დეფიციტის ერა, რომელიც დღემდე გრძელდება. აღნიშნულმა მდგომარეობამ ბუნებრივია წაროქმნა თავისი თანმდევი პროცესი, რაც დაკავშირებულია დეფიციტის დაფინანსების წყაროების ფორმებთან და დანახარჯების სტრუქტურებთან.

- საქართველოს წინაშე აქტიურად გამოიკვეთა ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ფორმებისა და მისი დანახარჯების მიზნობრივობის პრობლემები. ერთის მხრივ, არ არის განვითარებული შიდა ბაზარი იმისათვის, რომ დეფიციტის დაფინანსება მოხდეს საშინაო ვალის მეშვეობით, მეორეს მხრივ კი, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა ზრდის საგარეო ვალის მოსახურების ტვირთს. ასევე მაღალია სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯები, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრად ეკონომიკურ განვითარებას უქმნის საფრთხეს.
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული ფისკალური მულტიპლიკატორის დათვლის მარტივი მეთოდით, რომელიც ეყრდნობა 6 ძირითად სტრუქტურულ ფაქტორს, ირკვევა, რომ საქართველოში გადასახადებისა და სახელმწიფო დანახარჯების გავლენა მშპ-ზე არის საკმაოდ მცირე. აღნიშნული საკითხი, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკაში მაღალი იმპორტის წილით, რამაც ბოლო 5 წლის განმავლობაში საშუალოდ შეადგინა მშპ-ს 53%, მცურავი გაცვლითი კურსით და სახელმწიფო ვალის მაღალი დონით. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალის წილი მშპ-თან მიმართებით არ წარმოადგენს პრობლემას მანამ, სანამ ის არ აღემატება 60%-ს, ფისკალური მულტიპლიკატორის დათვლის ეს მარტივი მეთოდოლოგია აღნიშნულ ზღვარს ამცირებს 40%-მდე განვითარებადი, მცირე ზომის ქვეყნებისათვის. ვინაიდან საქართველოში სახელმწიფო ვალის მოცულობამ 2015 წლიდან გადააჭარბა მშპ-ს 40%-ს, სწორედ ამიტომ იგი განიხილება ფისკალური მულტიპლიკატორის შესუსტების ფაქტორად. გარდა ამისა, ამას ემატება საგარეო ვალის მომსახურების ცვალებადობის პრობლემა გაცვლითი კურსის მერყეობიდან გამომდინარე.

საერთო ჯამში, ზემოთ წარმოდგენილი 3 სტრუქტურული ფაქტორის გათვალისწინებით ხდება ფისკალური მულტიპლიკაციის ეფექტის განეიტრალება და სწორედ ამიტომ საქართველო ხდება მცირე ზომის მულტიპლიკატორის მქონე ქვეყნების ჯგუფში. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა ადგილობრივი წარმოების განვითარება, მყარი ეროვნული ვალუტა და ადგილობრივი ფინანსური ბაზრის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს საგარეო ვალის წილის შემცირებას.

- საქართველოს მაგალითზე სტრუქტურულ ვექტორული ავტორეგრესიის მეშვეობით შეფასებული ფისკალური მულტიპლიკატორების შესახებ შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება: საგადასახადო შემოსავლებს საწყის ეტაპზე და ზოგადად ხშირ შემთხვევაში უარყოფითი გავლენა აქვს მშპ-ზე, რაც დაკავშირებულია, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, წარმოებაზე გადასახადების ზრდასთან. სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯები უარყოფითად მოქმედებს მშპ-ზე მთელი პერიოდის განმავლობაში, რაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განპირობებულია პენსიითა და სხვა სოციალური შემწეობის პაკეტებით, რომელიც ძირითადად მიმართულია იმპორტირებული საქონლის შესყიდვაზე - მაგალითად, მედიკამენტებზე და პურზე. რაც შეეხება სახელმწიფო ინვესტიციებს, უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს საკმაოდ მაღალი და პოზიტიური გავლენა მშპ-ზე მთელი პერიოდის განმავლობაში. ზოგადად განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში ინფრასტრუქტურულ პროექტებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკურ ზრდაში, ვინაიდან მისი მეშვეობით ხდება სხვა სექტორების სტიმულირებაც. ამ ყველაფრის გათვალისწინებით უნდა მოხდეს სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა, ოღონდ არა საგარეო ვალის ზრდიდან მიღებული სახსრებით, არამედ არსებული ეკონომიკური ზრდის კვალობაზე ბიუჯეტში გაჩენილი დამატებითი სახსრების მეშვეობით. ასევე უნდა შემცირდეს წარმოებასთან დაკავშირებული გადასახადები.

## გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. მენქიუ, გ. (2008). *ეკონომიკის პრინციპები* (მე-2 ქართული გამ.). თბილისი: დიოგენე.
2. მესხია, ი., & ნიკოლეიშვილი, ო. (2002). *გადასახადები და დაბეგვრა*. თბილისი.
3. მექვაბიშვილი, ე. (2012). *თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები*. თბილისი.
4. რიკარდო, დ. (1937). *პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები*. (ფ. გოგიჩაიშვილი, თარჯ.) თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. საქართველოს საბიუჯეტო ოფისი. (1998). *რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ*. თბილისი: საქართველოს პარლამენტი
6. სილაგამე, ა. (2010). *ეკონომიკური დოქტრინები*. თბილისი: საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“.
7. ხადური, ნ., კაკულია, ნ., & ჩიქობავა, მ. (2011). *მაკროეკონომიკა (ლექციების კურსი)*. თბილისი.
8. Auerbach, A. J., & Gorodnichenko, Y. (2012, MAY 2). Measuring the Output Responses to fiscal policy. *AMERICAN ECONOMIC JOURNAL: ECONOMIC POLICY*, 4, pp. 1-27.
9. Batini, N., Eyraud, L., & Weber, A. (2014). *A Simple Method to Compute Fiscal Multipliers*. International Monetary Found (IMF Working Paper 14/93).
10. Baum, A., Poplawski-Riberio, M., & Weber, A. (2012). *Fiscal Multipliers and the State of the Economy*. International Monetary Found (IMF Working Paper 12/286).
11. Benassy-Quere, A., Coeure, B., Jacquet, P., & Pisani-Ferry, J. (2012). *ECONOMIC POLICY THEORY AND PRACTICE* (3rd ed.). Oxford: Oxford University Press.
12. Blanchard, O., & Perotti, R. (2002, November). AN EMPIRICAL CHARACTERIZATION OF THE DYNAMIC EFFECTS OF CHANGES IN GOVERNMENT SPENDING AND TAXES ON OUTPUT. *The Quarterly Journal of Economics*, 1329-1368.
13. Botero, J. C., Djankov, S., Porta, R. L., Lopez-de-Silanes, F., & Shleifer, A. (2004, November 1). The Regulation of Labor. *The Quarterly Journal of Economics*, 119(4), pp. 1339-1382.
14. Carmignani, F. (2014). Does Government Expenditure Multiply Output and Employment in Australia? *Discussion Papers Economics*.
15. Cottarelli, C., & Fedelino, A. (2010). *Automatic Stabilizers and the Size of Government: Correcting a Common Misunderstanding*. International Monetary Fund (IMF Working Paper 10/155).
16. Emmerson, C., Frayne, C., & Love, S. (2001, April 1). *Institute For Fiscal Studies*. Retrieved from Institute For Fiscal Studies Web Site: [www.ifs.org.uk](http://www.ifs.org.uk)

17. Heppke-Falk, K., Tenhofen, J., & Wolff, G. (2006). The Macroeconomic Effects of Exogenous Fiscal Policy Shocks in Germany: a Disaggregated SVAR Analysis. *Deutsche Bundesbank, Discussion Paper Series 1: Economic Studies No 41/2006*.
18. Mishkin, F. S. (2012). *THE ECONOMIC OF MONEY, BANKING AN FINANCIAL MARKETS*. New Jersey: Prentice Hall.
19. Musgrave, R. A., & Musgrave, P. B. (1989). *Public finance in theory and practice* (5nd ed.). New York: McGraw-Hill Book Company.
20. PEFA. (2018). *PUBLIC EXPENDITURE AND FINANCIAL ACCOUNTABILITY (PEFA) ASSESSMENT. GEORGIA 2017*.
21. Petty, W. (1662). *A Treaties of Taxes & Contributions*. London
22. Pillips, P. C. (1998). Impulse response and forecast error variance asymptotics in nonstationary VARs. *Journal of Econometrics*, 21-54.
23. Rowley, C. K. (1987). In Deficits. In J. M. Buchanan, C. K. Rowley, & R. D. Tollison, *Johon Maynard Keynes and the Attack on Classical Political Economy* (pp. 114-1142). Oxford: Blackwell.
24. World Bank Group. (2016). *POVERTY AND SHARED PROSPERITY 2016 TAKING ON INEQUALITY*. Washington: World Bank.

#### კანონები და ელექტრონული წყაროები:

1. კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/14638>
2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006>
3. საქართველოს შრომის კოდექსი  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=11>
4. <http://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/country/g/georgia/GEO.pdf>
5. Maastricht Treaty – *PROTOCOL ON THE EXCESSIVE DEFICIT PROCEDURE*, p.183, Article 104c.  
[www.europa.eu](http://www.europa.eu)
6. Masson. P & Mussa. M - *Long-Term Tendencies in Budget Deficits and Debt*, Symposium Proceedings, 1995, p.5  
<https://www.kansascityfed.org/LPMPe/XkcOO/PefZX/publicat/sympos/1995/pdf/s95mussa.pdf>

**დანართი 1.**

SVAR მოდელით შეფასებული სახელმწიფო დანახარჯებისა და გადასახადების მულტიპლიკატორები					
წყარო	დროითი მწკრივი	სახელმწიფო დანახარჯების მულტიპლიკატორი		გადასახადების მულტიპლიკატორი	
		მოკლევადიანი პერიოდი	საშუალოვადიანი პერიოდი	მოკლევადიანი პერიოდი	საშუალო ვადიანი პერიოდი
<b>განვითარებული ქვეყნები</b>					
Blanchard and Perotti (2002)	აშშ 1947Q1–1997Q4	0.5	0.5	(-0.7, -1.3)	(-0.4, -1.3)
Biau and Girard (2007)	საფრანგეთი 1978Q1–2003Q4	1.9	1.5	-0.5	-0.8
IMF (2005)	პორტუგალია 1995Q3–2004Q4	1.32	1.07		
Perotti (2004)	აშშ 1960Q1–1979Q4	1.29	1.4	-1.41	-23.87
	აშშ 1980Q1–2001Q4	0.36	0.28	0.7	1.55
	გერმანია 1960Q1–1974Q4	0.36	0.28	0.29	-0.05
	ბრიტანეთი 1963Q1–1979Q4	0.48	0.27	-0.23	-0.21
	ბრიტანეთი 1980Q1–2001Q2	-0.27	-0.6	0.43	0.7
Heppke-Falk et al. (2006)	გერმანია 1974Q1–2004Q4	0.62	1.27	არ აქვს გავლენა	არ აქვს გავლენა
Giordano et al. (2007)	იტალია 1982Q1–2004Q4	1.2	1.7	0.16	
De Castro and de Cos (2008)	ესპანეთი 1980Q1–2004Q4	1.3	1	პოზიტიური	ნეგატიური

Burriel et al. (2010)	ევროზონა 1981Q1– 2007Q4	0.87	0.85	-0.63	-0.49
Baum and Koester (2011)	გერმანია 1976Q1– 2009Q4	0.62	1.27	-0.66	-0.53
De Castro and Fernandez (2011)	ესპანეთი 1981Q1– 2008Q4	0.94	0.55		
<b>განვითარებადი ქვეყნები</b>					
Lonzano and Rodriguez (2009)	კოლუმბია 1980Q1– 2007Q4	1.12	1.2	პოზიტიური	
Mirdala (2009)	ჩეხეთი 2000Q1– 2008Q4	პოზიტიური		არ აქვს გავლენა	
	სლოვაკეთი 2000Q1– 2008Q4	პოზიტიური		პოზიტიური	
	უნგრეთი 2000Q1– 2008Q4	პოზიტიური		ნეგატიური	
	ბულგარეთი 2000Q1– 2008Q4	პოზიტიური		პოზიტიური	
	რუმინეთი 2000Q1– 2008Q4	პოზიტიური		პოზიტიური	
	პოლონეთი 2000Q1– 2008Q4	პოზიტიური		არ აქვს გავლენა	
Crespo Cuaresma et al. (2011)	ჩეხეთი 1995Q1– 2009Q4	არ აქვს გავლენა	-0.04	არ აქვს გავლენა	0.03
	უნგრეთი 1995Q1– 2009Q4	0.01	0.01	არ აქვს გავლენა	-0.01
	პოლონეთი 1995Q1– 2009Q4	არ აქვს გავლენა	-0.02	არ აქვს გავლენა	0.02
	სლოვაკეთი 1996Q1– 2009Q4	-0.01	0	-0.02	-0.1

	სლოვენია 1996Q1– 2009Q4	-0.01	-0.01	0.01	0.02
Jemec, Strojan Kastelec and Delakorda (2011)	სლოვენია 1995Q1– 2010Q4	1.61	არ აქვს გავლენა	-0.38	არ აქვს გავლენა
Mancellari (2011)	ალბანეთი 1998Q1– 2009Q4	0.36		1.4	
Ravnik and Žilić (2011)	ხორვატია 2001M1– 2009M12	ნეგატიური		პოზიტიური	
Šimović and Deskari Škrbić (2013)	ხორვატია 2004Q1– 2012Q4	2.18	1.91	-1.32	-0.81

შენიშვნა: მოკლევადიანი პერიოდი მოიცავს ერთ წლამდე პერიოდს , ხოლო საშუალოვადიანი კი ერთი წლიდან ორ წლამდე პერიოდს

წყარო: <https://pdfs.semanticscholar.org/4bdf/08f44a52eb6339158f8f94950a1ff19a85ef.pdf>